საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 1 თებერვალი. 2018 წ. №21 (8422), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

„ალმა მატერი“ ასი წლისაა





ივანე ჯავახიშვილი

რონინ მეტრეველი

განათლების მზე საუკუნეებში იკაშკაშებს!

თბილისის ქართული უნივერსიტეტის გერბი ივანე ჯავახიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის წინადადებით შექმნა მხატვარმა დიმიტრი შევარდნაძემ. მან ძალზედ მოქნილად, ხატოვნად წარმოსახა მასაზრდოებელი დედის — alma mater-ის ხორცშესხმული სიმბოლიკა — შველი, რომელიც ძუძუს აწოვებს ნუკრს. 1918 წლის 5 თებერვალს პროფესორთა საბჭომ მოიწონა გერბის ნიმუში და მიიღო იგი. დიახ, თბილისის უნივერსიტეტი სწორედ რომ მასაზრდოებელი დედაა — ალმა მატერია. იგი იუბილარია — ასი წლისა შესრულდა.

იხ. 5-6-7-8 გვ.

ყველა ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი!..

რეზერვის ახალი კონცეფცია პარლამენტის მხარდაჭერას ელის

4

თბილისში ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ჰილტონი“ აშენდება

თბილისში ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ჰილტონი“ აშენდება. სასტუმროს საძირკველში სიმბოლური კაფსულა საფრენი აპარატის საშუალებით, თბილისის მერმა კახა კალაძემ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან და ინვესტორებთან ერთად ჩადო.

სასტუმრო კოსტავას ქუჩაზე, სოფლის მეურნეობის ყოფილი სამინისტროს შენობაში განთავსდება. 200-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობაში 45 მილიონი ევროს ინვესტიცია განხორციელდება. თბილისის მერის განცხადებით, სასტუმროს მშენებლობის პროცესში 500 ადამიანი დასაქმდება. მისი გახსნის შემდეგ კი, 300-ზე მეტი მუდმივი სამუშაო ადგილი შეიქმნება. მისივე თქმით, ინვესტორთა ჯგუფმა პროექტისთვის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო იტალიელი არქიტექტორი პიერო ლისონი მოიწვია.

პროექტს საინვესტიციო კომპანია Granat Investment ახორციელებს, გენერალური კონტრაქტორი კი სამშენებლო კომპანია BBC-ია. პროექტს სამშენებლო მენეჯმენტს ბრიტანული კომპანია BHP უწევს. სასტუმრო „ჰილტონის“ მშენებლობა 2020 წელს დასრულდება.



ეს ჩვენი თავსატეხია!

ხანგრძლივი სისხლისმღვრელი კონფლიქტის შემდეგ არძინბას კლანი გაერთიანებაზე შეთანხმდა

3

ქარის წისქვილი ცხინვალისთვის

სეპარატისტებს მომხრეები დიდი ბრიტანეთის პარლამენტშიც გამოუჩნდნენ

დედაქალაქში გაჩნდა ანდაზებითა და ნახატებით გაფორმებული კორპუსები

11

საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი ოკუპირებულ აფხაზეთში იმყოფებოდა

საქართველოს მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ენგურჰესის აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ მონაკვეთს ეწვია.

აფხაზეთში ქუმსიშვილი ადგილობრივი ენერგოკომპანია „ჩერნომორენერგოს“ დირექტორ ასლან ბასარიასა და სხვა წარმომადგენლებს შეხვდა.

ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, შეხვედრის დროს საუბარი წარიმართა ენგურჰესის რეაბილიტაციის პროცესისა და აღნიშნულ პერიოდში აფხაზეთის რეგიონის ენერგორესურსებით უზრუნველყოფის ტექნიკურ დეტალებზე, აგრეთვე ზამთარში რეგიონის ელექტროენერგიით მომარაგებისა და 2019 წელს ენგურჰესის სადერივაციო გვირაბის სარემონტო სამუშაოების განხორციელების საკითხებზე.

პირველმა ვიცე-პრემიერმა აგრეთვე გალის რაიონის სოფელ საბერიოში არსებული ენგურჰესის ელექტროსადგური და სხვა ენერგო და ჰიდრონაგებობები დაათვალიერა. მასთან ერთად აფხაზეთში იმყოფებოდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე რომეო მიქაუტაძეც.

მოგვიანებით ვიცე-პრემიერმა საკუთარი შთაბეჭდილებების შესახებ სოციალურ ქსელში დაწერა: **„რამდენიმე წუთის წინ დავბრუნდი აფხაზეთიდან, სოფელ საბერიოდან, სადაც ენგურჰესის გენერაციის ობიექტებია განთავსებული. გავიცანი ლეგენდარული კოლექტივი მისი დირექტორის ლევან მებონიას თაოსნობით. მათი დიდი ნაწილი ენგურჰესის გაშვებიდან მუშაობს და სამუშაო ადგილი ერთი დღითაც არ მიუტოვებიათ. ისინი ნამდვილი პატრიოტები არიან, რომელთა ღვაწლიც ჩვენი ქვეყნის წინაშე ძალიან დიდია. ყველაფერი წარმოუდგენლად მასშტაბურია და სიამაყის გრძნობას იწვევს ის, რაც 1960-70-იან წლებში აშენდა და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ემსახურება საქართველოს. ბოლო წლებში, საქართველოს მთავრობის ძალისხმევით ბევრი რამ შეკეთდა, დამონტაჟდა თანამედროვე ტექნოლოგიების აგრეგატები და ტურბინები, მაგრამ ამავე დროს, კიდევ არაერთი სამუშაოა ჩასატარებელი ჰესის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის. მქონდა ძალიან კონსტრუქციული შეხვედრა „ჩერნომორენერგოს“ დირექტორ ასლან ბასარიასთან. მალე ენგურჰესი რამდენიმე თვით გაჩერდება, რადგან სადაწნეო გვირაბი გადაუდებელ რეაბილიტაციას მოითხოვს. თუმცა კაპიტალური შეკეთების შემდეგ ენგურჰესი კვლავ სრული დატვირთვით ამუშავდება და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს ელექტროენერგიით მომარაგებაში“.**

2018 წლის პირველ თვეებში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი შემცირდება!

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კობა გვენეტაძის განცხადებით, 2018 წლის პირველ თვეებში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი შემცირდება და მიზნობრივ დონესთან ახლოს იქნება. გვენეტაძის თქმით, 2018 წელს ინფლაციაზე გავლენას მოახდენს რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის ელექტროენერგიასა და წყალზე გაზრდილი ტარიფები, ასევე ნავთობის ფასების მატება.

„არსებული პროგნოზით, წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2018 წლის პირველი თვეების განმავლობაში შემცირდება და წლის განმავლობაში საშუალოდ მიზნობრივ დონესთან ახლოს იქნება. 2017 წლის ბოლოს ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი საგრძნობლად გაუფასურდა, რამაც გაზარდა ზეწოლა ინფლაციაზე და ხელი შეუწყო ინფლაციური მოლოდინების გაძლიერებას. აღნიშნულის პასუხად კომიტეტმა 13 დეკემბრის სხდომაზე გაამკაცრა მონეტარული პოლიტიკა. ბოლო პერიოდში ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსს გამყარების ტენდენცია აქვს. თუმცა, წინა პერიოდის გაუფასურების გავლენა ინფლაციაზე ჯერ სრულად არ ამოწურულა. ამასთან, 2017 წელს მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, ერთობლივი მოთხოვნა კვლავ პოტენციურ დონეზე ქვემოთ ნარჩუნდება, რაც ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს. შესაბამისად, კომიტეტმა ამ ეტაპზე მონეტარული პოლიტიკის დამატებითი გამკაცრება საჭიროდ არ მიიჩნია. მონეტარული პოლიტიკის შემდგომი გადაწყვეტილებები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწრაფად განეიტრალდება ფასებზე ზრდის მიმართულებით მოქმედი ფაქტორები“, — აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

ლარის კურსზე მოქმედი ფაქტორები დადებითია

ლარის კურსზე მოქმედი ფაქტორები დადებითია, — აცხადებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. კობა გვენეტაძე ამბობს, რომ პოზიტიურია ექსპორტის, ტურისტული შემოსავლებისა და ფულადი გზავნილების სტატისტიკა. მისივე თქმით, მცირდება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი.

„...თუმცა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია პროგნოზის გაკეთება, თუ როგორი იქნება ლარის გაცვლითი კურსი. არც ერთი ეროვნული ბანკი არ აკეთებს ამასთან დაკავშირებით განცხადებას“, — ამბობს გვენეტაძე. კითხვაზე, ხომ არ მოახდენს ლარის კურსზე გავლენას „სილქნეტის“ მიერ „ჯეოსელის“ შეძენა, გვენეტაძე ამბობს, რომ ამ გარიგების დეტალები ჯერ უცნობია, თუმცა ვარაუდობს, რომ კომერციულ ბანკებს დოლარში მაღალი ლიკვიდობა გააჩნიათ და ბაზარზე უცხოური ვალუტის შესყიდვის აუცილებლობა არა აქვთ.

აჭარის მთავრობა ნაციონალური მოძრაობის ბრალდებებს პასუხობს

აჭარის მთავრობა ნაციონალური მოძრაობის ბრალდებებს პასუხობს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: **„ეს გახლავთ ნაციონალური მოძრაობის მორიგი ტყუილი და საზოგადოების სიცრუეში შეყვანის მორიგი მცდელობა.**

საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, კიდევ ერთხელ განვმარტავთ: მთავრობის თავმჯდომარის ხელფასი 1 იანვრამდე შეადგენდა 5793 ლარს (დარიცხვით, რასაც აკლდება 20%), 1 იანვრიდან კი შემცირდა და განისაზღვრა 5750 ლარით (დარიცხვით). მთავრობის აპარატის უფროსის ხელფასი (სარგო და დანამატი) 1 იანვრამდე იყო 3728 ლარი (დარიცხვით, რასაც აკლდება 20%), 1 იანვრიდან კი შემცირდა და განისაზღვრა 3700 ლარით (დარიცხვით).

გარდა ამისა, უშუალოდ მთავრობის აპარატის საჯარო მოხელეთა წლიური სახელფასო ფონდი არათუ გაიზარდა, არამედ შემცირდა 60 030 ლარით, რაც განაპირობა მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებამ ორი მრჩევლისა და ორი თანაშემწის სულ 4 საშტატო ერთეულის შემცირებაზე.

რაც შეეხება სხვა დანარჩენ მოხელეებს, მათ შორის დეპარტამენტის უფროსებს, განყოფილების უფროსებს და სპეციალისტებს, ამ შემთხვევაში მოხდა სახელფასო სარგოს სახელფასო შკალასთან შესაბამისობაში მოყვანა და მათ მცირედით, მაგრამ გაეზარდათ ხელფასები. თუმცა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდა საუბრები სადღესასწაულო თუ კვარტალურ პრემიებსა თუ დანამატებზე.

რაც შეეხება ბაღის აღმზრდელების ანაზღაურებას, აღმზრდელის ხელფასი 240 კი არა 420 ლარია. თუმცა, რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, მერია ბაღებთან მიმართებაში რეორგანიზაციას ახორციელებს და რეორგანიზაციის შედეგად არის საუბრები სახელფასო სარგოს გაზრდასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხზე რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ ალბათ თავად მერია გააკეთებს განმარტებებს“, — აღნიშნულია აჭარის მთავრობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჩვენ არ გვჭირდება პრივილეგირებული ჩინოვნიკები!

თბილისის მერმა კახა კალაძემ მოადგილეებსა და დედაქალაქის მთავრობის სხვა წევრებს სთხოვა, ოჯახის წევრებზე გადაცემის თვალსაზრისით, პარკირების სპეციალური საშვების გამოყენებას მოერიდონ.

როგორც მან დედაქალაქის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, პარკირების სპეციალური საშვები მხოლოდ და მხოლოდ ოპერატიული დანიშნულების ავტომანქანებისთვისაა განკუთვნილი.

„სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში, პარკირების სპეციალური საშვებით არასამსახურებრივი საჭიროებისთვის სარგებლობასთან დაკავშირებით, ცალკეული შემთხვევები დაფიქსირდა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პარკირების სპეციალური საშვები განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ ოპერატიული დანიშნულების ავტომანქანებისთვის და ასევე, იმ ავტომობილებისთვის, რომლებიც სპეციალური რეჟიმით გადაადგილდებიან“, — განაცხადა კახა კალაძემ. დედაქალაქის მერი მიიჩნევს, რომ მოადგილეები და საქალაქო სამსახურების უფროსები სხვებისთვის სამაგალითო უნდა იყვნენ.

მაჩალიკაშვილის საქმე და შოთაძის პირველი კომენტარი

მთავარი პროკურორი მზადყოფნას გამოთქვამს, დუისში სპეცოპერაციის დროს დაჭრილი და შემდეგ გარდაცვლილი თემირლან მაჩალიკაშვილის საქმით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს შეხვდეს.

— ყველასთან შეხვედრისთვის მზად ვარ. ჩვენს საგამოძიებო დანაყოფში მაჩალიკაშვილის გარდაცვალებაზე გამოძიება გამჭვირვალეა. ოჯახს სრული წვდომა აქვს გამოძიების მიმდინარეობაზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, დანიშნულია ექსპერტიზები. საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია ექნება, — აცხადებს ირაკლი შოთაძე.

რაც შეეხება კითხვას, დადგება თუ არა სპეცრაზმელის პასუხისმგებლობის საკითხი, შოთაძის თქმით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოძიება და დანიშნულია ექსპერტიზები, რის შემდეგაც დეტალებზე ინფორმაცია მიეწოდება გარდაცვლილის ოჯახს.

TIME: 2018 წლის 5 ძებნილი პოლიტიკური ფიგურა

ჟურნალმა Time-მა საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 2018 წლის 5 ძებნილი პოლიტიკური ფიგურის სიაში შეიყვანა. როგორც ამერიკული გამოცემა განმარტავს, ნუსხაში ის ძებნილი პოლიტიკოსები მოხვდნენ, რომლებმაც 2018 წელს მედიის ყველაზე დიდი ყურადღება დაიმსახურეს.

სააკაშვილის გარდა, ჩამონათვალში არიან კატალონიის ყოფილი ლიდერი კარლეს პუჩდემონი, თურქეთში გადატრიალების მცდელობის მოწყობაში ეჭვმიტანილი ფეთჰულა გიულენი, Wikileaks-ის შემქმნელი ჯულიან ასანჟი და კოსოვოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი რამუშ ჰარადინაი.

ხანგრძლივი სისხლისმღვრელი კონფლიქტის შემდეგ არძინბას კლანი გაერთიანებაზე შეთანხმდა

აფხაზეთში აქტიურად განიხილება ინფორმაცია ყველაზე გავლენიანი კლანის — არძინბების გამთლიანების თაობაზე. „ოჯახის“ წევრები გაერთიანების შესახებ მოლაპარაკებებს მრავალწლიანი შიდა კონფლიქტის შემდეგ აწარმოებდნენ. 1990-იანი წლების ბოლოს აკა (სალიბეი) და ლევან არძინბებს შორის ეკონომიკურმა დავამ ვითარება ძმათამკვლელ დაპირისპირებამდე მიიყვანა. 2003 წელს მოსკოვში აკა მოკლეს, ხოლო შემდეგ, საპასუხოდ — ლევანიც. ამ რეზონანსული მკვლელობების შემდეგ არძინბების „ოჯახი“ ორ ჯგუფად დაიყო: აკას და ლევანის უახლოესი ნათესაობა მწვავე კონფლიქტში იყო და ერთმანეთს „უფროსების“ მკვლელობაში ადანაშაულებდა. ეს დაპირისპირება სერიოზულ გავლენას ახდენდა ოკუპირებულ რეგიონში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზეც და აფხაზური საზოგადოების პოლარიზებას იწვევდა (ორივე ჯგუფს დე ფაქტო პრეზიდენტობის საკუთარი კანდიდატები ჰყავდა, რომლებსაც ერთმანეთში კონფლიქტი ჰქონდათ). საბოლოოდ, ცოტა ხნის წინათ ოკუპირებულ რეგიონში პავლე არძინბა — 1990-იანების ერთ-ერთი ბოლო „რუხი კარდინალი“ მოკლეს (http://accent.com.ge/ge/news/details/44121). „Eadaily“-ს წყაროების ინფორმაციით, ამ მკვლელობის შემდეგ სოჭში არძინბას კლანის ძირითადი მოქმედი წევრები შეიკრიბნენ და ერთმანეთში ომის დასრულებაზე შეთანხმდნენ (https://eadaily.com/ru/news/2018/01/30).

მათივე ცნობით, შეხვედრაზე ის ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური პროექტებიც განიხილეს, რომელთაც „ოჯახი“ ერთობლივად გაუწევს ლობირებას. კერძოდ, გამოითქვა უკმაყოფილება მოქმედი დე ფაქტო პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბასა და მისი მოქმედების მიმართ. კლანი თვლის, რომ ამ უკანასკნელმა შიდა პოლიტიკაც „ჩააგდო“ და ვერც რუსეთის ფედერაციასთან დაამყარა ურთიერთნდობაზე დაფუძნებული კავშირები, რაც „რესპუბლიკაში“ ფინანსურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაზე აისახება. არძინბების ოჯახი რუსეთთან „უფრო სწორი“ ურთიერთობების ჩამოყალიბებას გეგმავს.

სოჭში გამართულ შეხვედრაში არძინბას კლანის შემდეგი ძირითადი აქტორები მონაწილობდნენ:

ინალ არძინბა — კრემლის 27 წლის ჩინოსანი, რომელიც ოკუპირებულ რესპუბლიკაში ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა პოლიტიკოსად ითვლება. მიმდინარე წლის იანვარში რუსეთის პრეზიდენტმა მას გენერლის საკლასო წოდება მიანიჭა. თუმცა, გამოცემის წყაროების ინფორმაციით, აფხაზეთში გავრცელებული მოლოდინების საწინააღმდეგოდ, არძინბა დე ფაქტო პრეზიდენტად საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას და საერთოდაც სამშობლოში დაბრუნებას ჯერჯერობით არ აპირებს;

ადგურ არძინბა — აფხაზეთის ეკონომიკის დე ფაქტო მინისტრი. მოქმედი დე ფაქტო მთავრობის გადადგომის შემთხვევაში იგი პრემიერობის საკვანძო კანდიდატად მიიჩნევა. „არძინბას კლანი თანამდებობრივ კიბეზე მის შემდგომ აღმასვლას გაუწევს ლობირებას. ადგური ოჯახის გამთლიანების ერთ-ერთი იდეოლოგი და, შესაბამისად, სოჭის შეხვედრის ერთ-ერთი ინიციატორია“ — წერს „eadaily“;

დიმიტრი არძინბა —აფხაზური პარლამენტის გავლენიანი წევრი, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც დე ფაქტო საკანონმდებლო ორგანოში არძინბების ოჯახის ინტერესებს იცავს. „მნიშვნელოვანი საკითხების უმრავლესობა რესპუბლიკაში მხოლოდ მას შემდეგ წყდება, რაც პარლამენტი — გავლენიანი პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენების შეკრება დაუჭერს მხარს“ — აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით გამოცემა;

დაურ არძინბა — „სახელმწიფო“ კომპანია —აფხაზეთის საზღვაო ნაოსნობის ხელმძღვანელი, რომელიც, eadaily-ს ინფორმაციით, ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაზე და ფინანსური სახსრების მიმოქცევაზეა პასუხისმგებელი.

„ამგვარად, — ასკვნის გამოცემა, — უახლოეს ხანებში აფხაზურ ეკონომიკასა და პოლიტიკაში კლანის პოზიციების მომძლავრებას უნდა ველოდოთ. ეკონომიკური თვალსაზრისით, არძინბას ოჯახმა შესაძლოა, მსხვილ პროექტებზე მოახდინოს კონცენტრირება, როგორიცაა აფხაზეთში ნავთობის მოპოვება, ან ე.წ. „კრიპტო-სამოთხის“ შექმნა (ეკონომიკის მინისტრმა ადგურ არძინბამ ეს იდეა უკვე გააჟღერა — https://www.ekhokavkaza.com/a/28853984 html). შიდა პოლიტიკის თვალსაზრისით კი მოსალოდნელია პრეზიდენტის ან მთავრობის გადადგომა“.

სულ ცოტა ხნის წინათ აფხაზეთში „საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების კავშირი“ შეიქმნა. ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ დე ფაქტო პრეზიდენტის გადაყენებისთვის „ყველა კანონიერი გზით“ იბრძოლებს. eadaily-ს წყაროების ინფორმაციით, ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბების უკან პარტია „ამცახარა“ დგას, რომელსაც არძინბას კლანის ერთ-ერთი ფრთა აკონტროლებს.

ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერინოლოგიას, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში გამოიყენება

„აქცენტი“

◎ ქარის წისქვილი ცხინვალისთვის

სეპარატისტებს მომხრეები დიდი ბრიტანეთის პარლამენტშიც გამოუჩნდნენ

როგორც **რუსული სააგენტო** TACC-ი იუწყება, **ბრიტანული პარლამენტის ზედა — ლორდთა პალატაში რუსეთთან თანამშრომლობის საკითხზე გამართული დებატებისას საუბარი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონსაც შეეხო და კონსერვატიული პარტიის წევრი რიჩარდ ბალფი გამოვიდა წინადადებით, „ამ ორ რესპუბლიკას თვითგამორკვევის შესაძლებლობა მიეცეს“.**

როგორც TACC-ი ირწმუნება, ლორდმა, კერძოდ, განაცხადა:

„ზოგიერთი ადამიანი, მოგვწონს ეს თუ არა, არ თვლის საკუთარ თავს იმ ქვეყნების ნაწილად, რომელთაც შესაძლოა, საბჭოთა ეპოქაში არასწორად მიაწერეს. თუ ჩვენ გვჯერა თვითგამორკვევა ჰიბრალტარისა და ფოლკლენდის კუნძულებისათვის, მაშინ უნდა გამოვნახოთ თვითგამორკვევის რაღაც ხერხი ზოგიერთებისთვის ამ ჭრელ რეგიონშიც“.

ბრიტანელი პოლიტიკოსის განცხადებები არც ცხინვალში გამოჰპარვიათ. საგარეო საქმეთა დე ფაქტო მინისტრმა დიმიტრი მედოევმა განუცხადა „Эхо Кавказа“ -ს, რომ ლორდ ბალფის პოზიციას მიესალმება და ის ცხინვალში მიიწვია:

„თუ არ ვცდები, ჯერ კიდევ ჰერაკლიტემ აღნიშნა, რომ ყველაფერი იცვლება და მსოფლიოში უცვლელი არაფერია. ასე, ჩვენს შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, დაიწყებს შეცვლას დამოკიდებულება რეალობისადმი, რომელიც სამხრეთ კავკასიაში 10 წლის წინათ შეიქმნა. ჩვენ ყურადღება მივაქციეთ ლორდის განცხადებებს. ვფიქრობ, ეს ყველაფერი შემთხვევითი არ არის და უკავშირდება რეალობის ჩვეულებრივ შეგრძნებას, ჯანსაღ, წმინდად ინგლისურ პრაგმატიზმს. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ მივესალმებით ასეთ პოზიციას, ადრე თუ გვიან, ფარდა უნდა ჩამოეშვას. ჩვენი რეალობის შესახებ უფრო ცხადი წარმოდგენისთვის ვიწვევ ლორდ რიჩარდ ბალფსა და მის კოლეგებს, ჩამობრძანდნენ და თავად ნახონ, რა ხდება რეალურად“.

ოსური პარლამენტის სპიკერმა პეტრე გასიევმა ბალფის გამოსვლას „ევროპის პოლიტიკურ წრეებში სასიამოვნო მოვლენა“ უწოდა (https://www.ekhokavkaza.com/a/290018195.html):

„ძალიან სასიამოვნოა, რომ გაჩნდნენ ასეთი ძალები, ასეთი პოლიტიკოსები, რომლებიც მსოფლიოში, მათ შორის სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ირგვლივ არსებულ პრობლემებს საღი გონებით ეკიდებიან; რომელთაც ესმით, რომ ვითარება ჩიხურია და ასე გაგრძელება შეუძლებელია. ამას ნელ-ნელა ევროპელი პოლიტიკოსებიც ხვდებიან და კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელმა სწორედ ამის კომენტირება მოახდინა. ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, სამხრეთ ოსეთიც და აფხაზეთიც უკვე დიდი ხანია, ვეღარ ხედავენ ვერაფერს საერთოს საქართველოსთან, რომლის შემადგენლობაშიც გარკვეული დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ, თანაც არა ნებით, არამედ ძალდატანებით. ვერანაირი პროექტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს საქართველოს შემადგენლობაში ვერ დააბრუნებს — იქნება ეს ფედერალური მოწყობა თუ ფართო ავტონომია. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოებია, რომლებიც არაერთი ქვეყნის, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის მიერაა აღიარებული. წარსულთან დაბრუნება გამორიცხულია და ისინი, ვინც ამისკენ მოწოდებებით გამოდიან, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებენ, რა შედეგებამდე შეიძლება, მიგვიყვანოს ამან. მართლაც, ძალზე სასიამოვნოა, რომ საზღვარგარეთ გაჩნდნენ საღად მოაზროვნე ძალები, რომელთაც ესმით, რომ ეს შეუძლებელია. ხოლო ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა, რომელზეც ფართოდ აპელირებს ამერიკული მხარე, მიუღებელია. თუ ერთ ხალხს თვითგამორკვევის უფლება ეძლევა, ის ყველას უნდა მიეცეს და არა მარტო მათ, ვისაც დასავლური სამყარო შეარჩევს“.

გასიევი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის ამასწინანდელ განცხადებასაც იშველიებს იმის შესახებ, რომ **„მოსკოვი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების გადაწყვეტილების გაწვევას არ აპირებს და ეს გადაწყვეტილება საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის სანაცვლოდ არ გადაიხედება“.**

ოსი ექსპერტი იური ვაზაგოვი ევროპელებთან თანამშრომლობის განვითარებას მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს.

„კონსერვატიული პარტიის წევრი პარლამენტარის განცხადებები იმ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რომ ევროპაში საქართველოს ხედვას ყველა როდი იზიარებს. ეს არის მორიგი სიგნალი იმისა, რომ ევროპის ქვეყნებსა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში საზოგადოებრივ აზრზე მუშაობა უნდა გააქტიურდეს, მათ უნდა მიეწოდოთ რეალური ინფორმაცია და არგუმენტები, რომელიც ადასტურებს სამხრეთ ოსეთის უფლებას თვითგამორკვევასა და საქართველოსგან დამოუკიდებლობაზე. ამჟამად ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, ის კიდევ უფრო მეტად უნდა გააქტიურდეს, უნდა ვიმოქმედოთ თანამიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ“, — განუცხადა „Эхо Кавказа“-ს ვაზაგოვმა.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ცოფის საწინააღმდეგო იძულებითი ვაქცინაცია ჩაატარა

კახეთის **რეგიონში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში უპატრონო ძაღლის მიერ ადამიანებისა და პირუტყვის დაკბენის შემთხვევა აღირიცხა. ფაქტის გამოვლენისთანავე ადგილზე გავიდნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამსახურის ვეტერინარები. ლაბორატორიული კვლევისთვის აღებული იყო პათმსალა, რის შედეგადაც ძაღლს ცოფი დაუდასტურდა. სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს ვეტერინარებმა რისკის ზონაში ჩაატარეს იძულებითი ვაქცინაცია და შესაბამისი ვეტერინარული ღონისძიებები. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის მიერ გამოვლენილი იქნა ძაღლის მიერ დაკბენილი და კონტაქტირებული პირები, რომელთაც უტარდებათ ანტირაბიული ვაქცინაცია.**

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 2017 წელს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაუტარა 298 734 სულ ცხოველს, მათ შორისაა 279 690 სული ძაღლი-კატა და 19 044 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

ცნობისთვის, ცოფი საშიში ინფექციური დაავადებაა, რომელიც გადადის დაკბენით, დადორბვლით ან დაკაწვრით. ცოფით ავადდება ადამიანიც. დროულად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად დაავადების თავიდან აცილება შესაძლებელია.

რეზერვის ახალი კონცეფცია პარლამენტის მხარდაჭერას ელის

საქართველოს „რეზერვისა და მობილიზაციის შესახებ“ კანონპროექტი, მთავრობის მოწონების შემდეგ, 29 იანვარს, პარლამენტს წარედგინა. მის განხილვას, შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანო უახლოეს მომავალში შეუდგება. სარეზერვო სამსახურის რეფორმირებასთან დაკავშირებული ცვლილებები 12 კანონის შესწორებას გამოიწვევს, მათ შორისაა 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიც. სარეზერვო სისტემის ახალი კონცეფცია ქვეყნის ტოტალურ თავდაცვაში მოქალაქეების ჩართვასა და სამობილიზაციო რესურსის ოპტიმალურად გამოყენებას ითვალისწინებს.

თავდაცვის სამინისტროს თანახმად:

• საომარი მდგომარეობის დროს სამობილიზაციო რეზერვში მოქალაქეების გაწვევა პრეზიდენტის უფლებამოსილება იქნება;

• საგანგებო მდგომარეობის დროს უფლებამოსილება მთავრობას გადაეცემა;

• რეზერვისტთა წელიწადში 45-დღიან მომზადებაზე კი გადაწყვეტილებას თავდაცვის სამინისტრო მიიღებს.

სარეზერვო სამსახურის შესახებ კანონპროექტის თანახმად, საქართველოში ორი ტიპის რეზერვი შეიქმნება — აქტიური და სამობილიზაციო რეზერვი. აქტიური რეზერვი, თავის მხრივ, კიდევ სამ ნაწილად დაიყოფა. ესენია: შეიარაღებული ძალების რეზერვი, ტერიტორიული რეზერვი და სპეციალისტთა რეზერვი. შეიარაღებული ძალების რეზერვში ჩაირიცხებიან პირები, რომელთაც სავალდებულო სამხედრო სამსახური აქვთ გავლილი, ერთი საკონტრაქტო ვადა მაინც აქვთ მოხდილი და ისინი უშუალოდ სარეზერვო ბატალიონებს დააკომპლექტებენ. ტერიტორიული რეზერვი, ტერიტორიული თავდაცვის ორგანიზების გზით, შეიარაღებული ძალების დამატებით მხარდაჭერას განახორციელებს. სპეციალისტთა რეზერვის შექმნის მიზანი სამხედრო ძალების სპეციფიკური მოთხოვნებისა და ამოცანების გადაჭრა იქნება და დაკომპლექტდება ისეთი სპეციალისტებით, როგორებიც არიან კიბერუსაფრთხოების სპეციალისტები, გვირაბების, ხიდების სპეციალისტები, აეროდრომების საფრის სპეციალისტები და სხვ. აქტიური სარეზერვო სამსახური ნებაყოფლობითია, 5 წლამდე კონტრაქტითა და შრომითი გასამრჯელოთი. რაც შეეხება სამობილიზაციო რეზერვს, აქტიური რეზერვისგან განსხვავებით, იგი სავალდებულოა და მისი მიზანი სამხედრო ძალების გაძლიერება და დანაკარგების შევსება იქნება. სამობილიზაციო რეზერვში გაწვევას დაექვემდებარება ყველა ის მოქალაქე, რომელიც გარკვეულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. აღრიცხვიანობისა და გაწვევის პროცესის უზრუნველსაყოფად უკვე დაწყებულია მართვის ელექტრონული სისტემების შემუშავება. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია ამბობს, რომ სამხედრო რეზერვისა და მობილიზაციის შესახებ დოკუმენტი ექსპერტების, სამოქალაქო სექტორისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ჩართულობით შეიქმნა საერთო კონსენსუსის საფუძველზე:

— ეს არის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იმისთვის რომ ქვეყანაში განვახორციელოთ ტოტალური თავდაცვის კონცეფცია, რომლის მნიშვნელოვანი ელემენტია საზოგადოების ფართო ჩართულობა ქვეყნის თავდაცვის საქმეში. ჩვენ ამ მიმართულებით გადავდგით პირველი ნაბიჯები, როდესაც წვევამდელთა სისტემა აღვადგინეთ და ასევე იქ საჯაროდ განვაცხადეთ, რომ მეორე ნაბიჯი იქნებოდა სწორედ ამ მიმართულებით ახალი რეზერვისა და სამობილიზაციო სისტემის შექმნა. დღეს უკვე ეს პირობაც შეევასრულეთ“.

თუმცა პირობის შესასრულებლად გასავლელია კიდევ ერთი — საპარლამენტო განხილვების — ეტაპი და შემდგომ უკვე რეზერვისა და მობილიზაციის კონცეფციის ცხოვრებაში სრულფასოვნად გატარების ეტაპი, რაც სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორის, ირაკლი ალადაშვილის, შეფასებით, გრძელი პროცესია:

„ძნელია, ახლა იმის წინასწარ თქმა, რა როგორ იმუშავებს. კონცეფცია სწორია, მიმართულება სწორია, მაგრამ ამას სჭირდება დრო, სურვილი და, რაც მთავარია, ფინანსები, იმიტომ რომ აქ რომ საუბარი იყოს 200-300 კაცის მომზადებაზე, ეს არასერიოზული იქნება. ეს პროცესი მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს, რომ დაგროვდეს ამ რეზერვისტების რაოდენობა, პრინციპი ჩამოყალიბდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ეს ხალხი ქვეყანამ გამოიყენოს - და არა მარტო შეიარაღებული კონფლიქტის დროს, არამედ ბუნებრივი კატასტროფების ან ტექნოგენური კატასტროფების დროსაც შეიძლება მათი გამოყენება.

ირაკლი ალადაშვილი ამბობს, რომ საქართველოში სამხედრო რეზერვის შექმნის მცდელობა — 2008 წლის აგვისტოს ომამდე და მას შემდეგაც — რაშიც სოლიდური ფინანსები დაიხარჯა, უშედეგოდ დასრულდა და რეალურად მოქმედი რეზერვი საქართველოში ამ დროისათვის არ არსებობს. შესაბამისად, იგი იმედოვნებს, რომ ახალი კონცეფცია უკეთ იმუშავებს. რეზერვის ახალი კონცეფციის შემუშავების პროცესში ადრეულ ეტაპზევე ჩაერთო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. თავდაცვის მინისტრმა და გენერალური შტაბის უფროსმა კონცეფცია პრეზიდენტს ჯერ კიდევ ხედვის დონეზე გააცნეს, შემდეგ კი მის დეტალურ განხილვებში ჩაერთვნენ უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომლებიც. უშიშროების საბჭოს მდივანი დავით რაქვიაშვილი ამბობს, რომ ამ საკითხის გარშემო მსჯელობა ორჯერ გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომაზე:

— მიგვაჩნია, რომ იმ სახით, რომელი სახითაც საბოლოო პროდუქტი მივიღეთ, ეს ერთმნიშვნელოვნად არის წინ გადადგმული და პროგრესული ნაბიჯი. ჩვენ ვიცით, რომ ჯერჯერობით ეს არის პილოტურ რეჟიმში, პირველად იქნება გაწვევა ამ კონცეფციის შესაბამისად და ძალიან დიდი ყურადღებით დავაკვირდებით. მნიშვნელოვანია, რომ ამ ხედვას თან სდევდეს სათანადო ადამიანური რესურსები, სათანადო ბიუჯეტი.

უშიშროების საბჭოს მდივანი ამბობს, რომ რეზერვი არის ერთ-ერთი კომპონენტი იმ ერთიანი ეროვნული მიდგომისა, რომელმაც ქვეყნის მედეგობა და თავდაცვისუნარიანობა უნდა აამაღლოს.

აქტიური რეზერვის სამსახური, საპილოტე პროექტის სახით, მიმდინარე წლიდან ამოქმედდება. პირველ ეტაპზე რეზერვში 260 ადამიანის მიღება იგეგმება.

ნონა მჭედლიშვილი

ლუკ კოფის ანგარიში:

საქართველოს ნატოში გაწევრიანება აშშ-ისა და ევროპის ინტერესებში შედის

ამერიკულმა **კვლევითმა ინსტიტუტმა** Heritage Foundation-**მა გამოაქვეყნა ექსპერტ ლუკ კოფის ანგარიში, რომელიც ამავე ინსტიტუტის საგარეო პოლიტიკის ცენტრის დირექტორია.**

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ქართულენოვან რეზიუმეს:

გამოქვეყნებულ ვრცელ პუბლიკაციაში მიმოხილულია საქართველო-აშშ-ის ურთიერთობა (მასში ნახსენებია 1918 წელიც), საქართველოს მიერ ნატოსთან ინტეგრირების მიზნით გადადგმული ნაბიჯები და აღნიშნულია, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა აგრესიამ საქართველო ვერ აიძულა, უარი ეთქვა დასავლეთთან კავშირების გამყარებაზე. **„საქართველო ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო გახდა იმედის ნაპერწკალი რთულ რეგიონში. საქართველოში შედგა ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა, თავისუფალი და ღია არჩევნების გზით. ქვეყანამ გაატარა ეკონომიკური რეფორმები, რათა ეკონომიკის ლიბერალიზაცია მოეხდინა. აშშ-ის ეროვნულ ინტერესებშია, გააღრმაოს ორმხრივი ურთიერთობა საქართველოსთან, დაეხმაროს მას თავდაცვითი და სამხედრო შესაძლებლობების განვითარებაში და ხელი შეუწყოს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას“,** — წერს ამერიკელი ექსპერტი.

ანგარიშის ავტორის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ნატოს 2018 წლის სამიტზე კიდევ ერთხელ გაუსვან ხაზი, რომ საქართველო იმსახურებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას. ავტორი წერს, რომ აშშ-ის გეოპოლიტიკური ამოცანებისთვის საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოს დემოკრატიული გარდაქმნის პროცესი, რაც რეგიონისთვის მაგალითს წარმოადგენს.

ამავე დროს, როგორც ლუკ კოფი აღნიშნავს, **„ნატოს ზოგიერთი წევრი შიშობს, რომ საქართველოს ალიანსში მიღება მოსკოვის მიერ ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონების გამო, რუსეთთან ავტომატურ ომს გამოიწვევს. საქართველოს ოფიციალური პირები პირად საუბრებში აცხადებენ, რომ მოხარულები იქნებიან, დათანხმდნენ ნატოს წევრობას კომპრომისის საფუძველზე. საუბარია იმაზე, რომ ალიანსის მეხუთე მუხლი, რაც კოლექტიურ თავდაცვას და უსაფრთხოების გარანტიას გულისხმობს, დროებით არ გავრცელდეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სანამ ეს საკითხი რუსეთთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით არ გადაწყდება“.**

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონზე გავრცელდება ნატოს წესდების მეექვსე მუხლის შესწორება. ამის პრეცედენტი უკვე არსებობს. ანალოგიური შესწორება მიიღეს 1951 წელს, როდესაც ალიანსს საბერძნეთი და თურქეთი შეუერთდნენ. **„ეს იქნებოდა მხოლოდ დროებითი ზომა, სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში აღდგება“,** — ნათქვამია Heritage Foundation-ის საგარეო პოლიტიკის ცენტრის დირექტორის მიერ მომზადებულ ანგარიშში.

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის მიცემის ფაქტზე 1 პირი დააკავა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად უკანონო ქმედების ჩასადენად მოხელისათვის ქრთამის მიცემის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე ზაურ ბ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა,რომ დაკავებული ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს დაუკავშირდა, რომელსაც ქ. ქუთაისში, გელათის ქუჩა №191-ში მდებარე შენობაზე, პროექტის გარეშე სამშენებლო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებაში მფარველობის გაწევის სანაცვლოდ ქრთამის სახით შესთავაზა 3 000 ლარი.

2018 წლის 30 იანვარს, ზაურ ბ-მ მერიის წარმომადგენელს გადასცა ქრთამის სახით შეთავაზებული თანხა,3 000 ლარი,რა დროსაც იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება უკანონო ქმედების ჩასადენად მოხელისთვის ქრთამის მიცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4 დან 7 წლამდე ვადით).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

„ალმა მატერი“ ასი წლისაა

როინ მეტრეველი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი

(პირველი გვერდიდან)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი...თეთრი სახლი... დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელ დღეს დაფუძნებული და დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელობისა... მას უმაღლესი განათლებისა და დიდი მეცნიერების ნათელი კერის უწმინდესი მისია აკისრია.

საქართველოში განათლებას ჭეშმარიტად დიდი ტრადიცია აქვს. მარტო ის რად ღირს, რომ ამ თექვსმეტი საუკუნის წინათ საბერძნეთში სიამაყით აცხადებდნენ: მე განათლება კოლხეთში მივიღეო. დიახ, კოლხეთის, ანუ ფაზისის რიტორიკული სკოლა (აკადემია) განათლების მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, სადაც მსოფლიო სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები სწავლობდნენ. სწორედ აქ მიუღიათ განათლება ბერძენ მოღვაწეებს — ევგენიოსსა და თემისტიოსს და ზემომოყვანილი სიტყვებიც ერთ-ერთ მათგანს ეკუთვნის.

უმაღლესი განათლების ახალ ეტაპს წარმოადგენდა XII საუკუნის ათიანი წლები, როცა საქართველოში არაერთი აკადემია შეიქმნა. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ მეტად საინტერესოდ გადმოგვცემს, რომ დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წ.წ.) 1106 წელს „მოიგონა აღშენება მონასტრისა“ და „ადგილსა ყოვლად შუენიერისა და ყოვლითურთ უნაკლოსა ააგო ტაძარი — „ვითარცა მეორე ცაი გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა“. იგი იყო „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა“, განთქმული თავისი „სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქნულობისა შეუსწორებლობითა“. ეს იყო გელათი, სადაც დაფუძნდა საყოველთაოდ ცნობილი და იმდროინდელ წინა აზიაში აღიარებული გელათის აკადემია (უნივერსიტეტი). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათს უწოდებს „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად. მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრესს მისსა საღმრთოთა შინა წესთა...“

* * *

გადაწყდა — უნივერსიტეტი გაიხსნას 1918 წლის 26 იანვარს. 26 იანვარი საქართველოს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გამვრცობის, აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა მეფის წმინდა დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელი დღეა. ქართველმა მამულიშვილებმა უნივერსიტეტის მფარველ წმინდანად დავით აღმაშენებელი აღიარეს. დავითის ეპოქა იდეალი იყო ქართველთათვის. როგორც ზემოთაც აღინიშნა, დავით აღმაშენებლის მემატიანე გელათის აშენებასა და აკადემიის დაარსებას „სხვა ათინასა“ და „ახალ იერუსალიმს“ ადარებს. ათენი სწავლა-აღზრდისა და განათლება-სიბრძნის ცენტრი იყო, იერუსალიმი — რწმენისა. გელათმა ეს ორი მძლავრი ფენომენი შეისისხლხორცა და მაღალი განათლებისა და ღრმა რწმენის ერთიანობის სიმბოლოდ იქცა.ამიტომ, არ იყო შემთხვევითი, რომ თბილისის უნივერსიტეტის გახსნა, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, სწორედ 26 იანვარს გადაწყდა. ამით ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ თბილისის უნივერსიტეტი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი განათლებისა და კულტურის დიდ ტრადიციებზე შეიქმნა — IV საუკუნეში არსებული ფაზისის რიტორიკული სკოლისა და XII საუკუნის გელათისა და იყალთოს აკადემიების მემკვიდრე გახდა.

უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული ყველა საორგანიზაციო საკითხი ივანე ჯავახიშვილმა მოაგვარა. რაოდენ ნიშანდობლივია მოსე ჯანაშვილის სიტყვები: „ივ. ჯავახიშვილმა იცისრა ყველაზე დიდი ტვირთი — გუთნისდედობა თვით ქართული მძიმე ღრმადმხვნელი გუთნისა... ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო, ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის სავანედ“.



პეტრე მელიქიშვილი

დადგა 26 იანვარი 1918 წლისა... ამ დღეს წყნეთის ქუჩაზე №40-ში მდებარე გიმნაზიის შენობაში გაიხსნა პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი — ქართული უნივერსიტეტი... მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის საზოგადოების თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა. აღფრთოვანებული სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის რექტორი პეტრე მელიქიშვილი. მან ხაზი გაუსვა იმ ამოცანებს, რომლებიც უნივერსიტეტის წინაშე იდგა: „ვაფუძნებთ ქართულ უნივერსიტეტს იმისათვის, რომ საშუალება მივცეთ ჩვენ ხალხს მშობლიურ ენაზე გაეცნოს და აითვისოს მეცნიერული ჭეშმარიტების საწყისები და აგრეთვე საშუალება მივცეთ ჩვენს მეცნიერულ ძალებს შეისწავლონ ჩვენი სამშობლო — საქართველო და კავკასია“.

შემდეგ ი. ყიფშიძემ წაიკითხა მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. ახლადდაარსებულ ქართულ უნივერსიტეტს მიესალმნენ სხვადასხვა (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, პოლონეთი და სხვ.) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები. მოვიდა ბევრი მისალოცი დეპეშა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ III-მ ამ დღეს საგანგებო პარაკლისი გადაიხადა.

ზეიმის დასასრულ გათვალისწინებული იყო ივანე ჯავახიშვილის ლექცია, მაგრამ ხალხის სიმრავლის გამო ეს ვერ მოხერხდა... პირველი ლექცია „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობაში“ ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა 1918 წლის 30 იანვარს. ასე დაიწყო ქართული უნივერსიტეტის მაჯისცემა...

გახსნისას უნივერსიტეტში 369 სტუდენტი იყო, 89 თავისუფალი მსმენელი. მას 7 პროფესორი, 5 პროფესორის მოადგილე, 2 მეცნიერ-ხელმძღვანელი და 3 ლექტორი ჰყავდა. აი, როგორ გამოიყურებოდა ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიუმი 1918 წლის პირველ სემესტრში:

> რექტორი — დამსახურებული პროფესორი **პეტრე მელიქიშვილი** (ქიმიის დოქტორი); სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი — პროფესორი **ივანე ჯავახიშვილი** (ქართული ფილოლოგიის მაგისტრი პეტერბურგის უნივერსიტეტისა); სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივანი — პროფესორი **იოსებ ყიფშიძე** (ქართული ფილოლოგიის მაგისტრი პეტერბურგის უნივერსიტეტისა); პროფესორი **ანდრია ბენაშვილი** (გეოდეზია), პროფესორი **კორნელი კეკელიძე** (საეკლესიო ისტორია, ღვთისმეტყველების მაგისტრი), პროფესორი **დიმიტრი უზნაძე** (ფსიქოლოგია), პროფესორი **ფილიპე გოგიჩაიშვილი** (პოლიტიკური ეკონომიკა), პროფესორის მოადგილე **ანდრია რაზმაძე** (უმაღლესი მათემატიკა), პროფესორის მოადგილე **სვიმონ ავალიანი** (ისტორია), პროფესორის მოადგილე **შალვა ნუცუბიძე** (ფილოსოფია), პროფესორის მოადგილე **გიორგი ახვლედიანი** (ენათმეცნიერება), მეცნიერ-ხელმძღვანელი **ექვთიმე თაყაიშვილი** (სიძველეთმცოდნეობა), მეცნიერ-ხელმძღვანელი **იუსტინე აბულაძე** (სპარსული ენა), ლექტორი **ელენე ორბელიანი** (ფრანგული ენა), ლექტორი **არტურ ლაისტი** (გერმანული ენა), ლექტორი **ილია ყიფშიძე** (გერმანული ენა), ლექტორი **ვანდა ღამბაშიძისა** (ინგლისური ენა).

1918 წლის გაზაფხულზე მძიმე სამხედრო-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. თბილისს ოსმალთა შემოსევის საფრთხე შეექმნა. აპრილში ოსმალებმა ბათუმი დაიკავეს. ნიშანდობლივია უნივერსიტეტის პროფესურის სიმტკიცე. მათ მიიღეს დადგენილება, არ დაეხურათ უნივერსიტეტი და გაეგრძელებინათ ლექციების კითხვა. იმ სტუდენტებს, რომლებიც ომში წავიდნენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებით უნდა წაჰკითხვოდათ. მეცნიერებმა გადაწყვიტეს, საშიშროების შემთხვევაშიც უნივერსიტეტის შენობაში დარჩენილიყვნენ და მის დაცვაში მიეღოთ მონაწილეობა. ეს დადგენილება 9 მეცნიერმა მიიღო. აი, ისინიც: **პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი და იოსებ ყიფშიძე.**

> უნივერსიტეტი თანდათან იზრდებოდა.
>
> 1918 წლის ოქტომბერში გაიხსნა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი;
>
> 1921 წლის სექტემბერში — აგრონომიული ფაკულტეტი;
>
> 1922 წლის 16 იანვარს — პოლიტექნიკური ფაკულტეტი;
>
> 1922 წლის ოქტომბერში — სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი;
>
> 1918 წლის 3 სექტემბერს ეროვნულმა საბჭომ უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოაცხადა.
>
> 1919 წლის 24 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილი არჩეულ იქნა რექტორად. ამ თანამდებობაზე იგი 1926 წლის ივნისამდე მუშაობდა.

1920 წლის 9 მაისს პროფესორთა საბჭომ პირველად ჩაატარა დისერტაციის დაცვა — დოქტორის ხარისხი მიენიჭა აკაკი შანიძეს.

1923 წელს დაარსდა უნივერსიტეტის სტამბა, 1933 წელს — გამომცემლობა.

1926 წლის 22 ივნისს ივანე ჯავახიშვილი რექტორობიდან გაათავისუფლეს. დაიწყო უნივერსიტეტის ე.წ. რეორგანიზაცია, რაც მის ფაქტობრივ დაშლა-დაქუცმაცებაში გამოიხატა. 1933 წლის იანვარში უნივერსიტეტმა ხელახლა მიიღო სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულების სახე.

ივანე ჯავახიშვილის შემდეგ, დანიშნული რექტორებიდან, სამწუხაროდ, ზოგმა ვერ გამოიჩინა თავი და ივანე ჯავახიშვილის ლაფში ამოსვრაც კი მოიწადინა. ნუ გავკიცხავთ მათ და ყოველივე იმ დროის პროდუქტად ჩავთვალოთ. ერთი რამ კი აღსანიშნავია — ივანე ჯავახიშვილის შემდეგ დანიშნული 6 რექტორი (თედო ღლონტი, მალაქია ტოროშელიძე, ივანე ვაშაყმაძე, ალექსანდრე ერქომაიშვილი, ლევან აღნიაშვილი, კარლო ორაგველიძე), რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ არსებულ რეჟიმს, ამავე რეჟიმმა დასაჯა — ექვსივე დახვრიტეს.

საბედნიეროდ, უნივერსიტეტის რექტორებად სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ალექსანდრე ჯანელიძე და ნიკო კეცხოველი, ილია ვეკუა და ვიქტორ კუპრაძე,

იხ. 6 გვ.



იოსებ ყიფშიძე

ექვთიმე თაყაიშვილი



კორნელი კეკელიძე

შალვა ნუცუბიძე



აკაკი შანიძე

„ალმა მატერი“ ასი წლისაა

(მეხუთე გვერდიდან) გიორგი ძოწენიძე და ევგენი ხარაძე, დავით ჩხიკვიშვილი და ვაჟა ოკუჯავა, ნოდარ ამაღლობელი და ოთარ ჯაფარიძე. თითოეულმა მათგანმა შეძლებისდაგვარად თავისი ძალა და ღონე ჩადო საუნივერსიტეტო საქმიანობაში.

უნივერსიტეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე იგი ღირსებით ასრულებდა მასზე დაკისრებულ ამოცანას. აქ დაფუძნდა და შემდგომ განვითარდა ქართული მეცნიერული სკოლები: **მათემატიკის, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, ორიენტალისტიკის, ფიზიკის,** რომლებმაც მსოფლიოში გაითქვეს სახელი. უნივერსიტეტის პროფესურამ შექმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია (1941 წ.).

* * *

XXI საუკუნის დასაწყისმა მწვავე არჩევანის წინაშე დაგვაყენა. პროცესები, რომლებიც ამჟამად ქვეყანაში მიმდინარეობს, კვლავ სვამს კითხვას — ვინ ვართ ჩვენ? საით მივდივართ? აქ მხოლოდ ცივი გონებით შეიძლება გადაწყვეტილების მიღება. ამოცანა ერთია: საქართველოს ყოველი მოქალაქის მიზანი უნდა იყოს საყოველთაო სამამულო მშვიდობა. ადამიანებმა თვითონ უნდა მოახერხონ გარდაქმნა. რადიკალურად შესაცვლელია არსებული სტერეოტიპები. აუცილებელია საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა. თითოეულ ადამიანში ჯერ კიდევ არსებული სიძულვილისა და ნგრევის ინსტინქტი უნდა გარდაიქმნას შენებისა და სიყვარულის უნარად. უფალი ბრძანებს: „ითხოვდით და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით და ჰპოვოთ; ირეკდით და განგეღოს თქვენ; რამეთუ ყოველი, რომელი ითხოვდეს, მოიღოს და რომელი ეძიებდეს, პოვოს, და რომელი ირეკნკდეს, განეღოს“. (მათე, 7, 7-8). შევისმინოთ „სახარების“ შეგონება-ღაღადისი. დღეს ჩვენ უნდა გავიმეოროთ მრავალგზის უკვე ნათქვამი — ჩვენს ქვეყანას სირთულეებიდან გამოიყვანს და გადაარჩენს ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლება. ერის განათლება, საზოგადოების გადარჩენისა და შემდგომი წინსვლის რეალური გზაა.

* * *

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეტანილი დიდმნიშვნელოვანი წვლილისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ერთადერთს საქართველოში, განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭა. XX საუკუნის მიწურულს (საერთოდ ოთხმოცდაათიან წლებში), საქართველოში განვითარებულმა საზოგადოებისა და ეკონომიკის ცვლილებების გლობალურმა ხასიათმა აუცილებელი გახადა უნივერსიტეტის მართვისა და სწავლების ორგანიზაციის ეფექტური მეთოდების დამუშავება, საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი მენეჯმენტისა და მარკეტინგის ფართო და საფუძვლიანი გამოყენება. ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში უცვლელი დარჩა უნივერსიტეტების, საზოგადოდ, და მეტადრე თბილისის უნივერსიტეტის მისია: განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტის წინაშე გამოიკვეთა ორი ძირითადი ამოცანა: პირველი — სასწავლო პროცესების მოდერნიზაცია მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად, და მეორე — არსებული ინტელექტუალური პოტენციალის, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადარჩენა-შენარჩუნება და განვითარება. პირველი ამოცანის გადასაწყვეტად უნივერსიტეტი საქმიანობას ჯერ კიდევ 1992 წელს შეუდგა, ხოლო 1994 წელს შემუშავდა საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფცია, რომლის თანამიმდევრული განხორციელება იმთავითვე დაიწყო. ამ კონცეფციის შესაბამისად ჩატარდა კოლოსალური სამუშაო ორეტაპიანი სწავლების სტრუქტურისა და შინაარსის განსასაზღვრავად, მისი სასწავლო ლიტერატურით დისციპლინათა პროგრამებით, ლექციათა კურსებით, სახელმძღვანელოებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად.

2004 წლისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქვეყნის უმთავრესი და უპირველესი სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსი იყო. იგი აერთიანებდა მეთაურ უნივერსიტეტს 22 ფაკულტეტით, 8 ფილიალს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (სოხუმის, სიღნაღის, ზუგდიდის, მესხეთის, ჯავახეთის, ქვემო ქართლის, ფოთის), ორ სამეცნიერო-კვლევით და ერთ სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს, კავკასიის ბიზნეს სკოლას, 81 სამეცნიერო კვლევით-ლაბორატორიასა და ცენტრს, სასწავლო ცენტრებსა და ბაზებს, სამ საუნივერსიტეტო სკოლას, ლიცეუმს, კოლეჯს, სამედიცინო სასწავლებელს, სამეცნიერო ბიბლიოთეკას, გამომცემლობასა და სტამბას. მეთაურ უნივერსიტეტსა და მის ფილიალებში სტუდენტთა რაოდენობა 30 000-ს აჭარბებდა. სახელდობრ თბილისის უნივერსიტეტში 18 985 სტუდენტი სწავლობდა, ფილიალებში — 11 498, კავკასიის ბიზნეს სკოლაში — 457, საუნივერსიტეტო სკოლებში, კოლეჯებსა და ლიცეუმში — 3 539 მოსწავლე ღებულობდა განათლებას, მოსამზადებელ ცენტრსა და სპეციალიზებულ მოსამზადებელ განყოფილებაზე 1 400 აბიტურიენტი ემზადებოდა საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად. ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას იმავე პერიოდში ემსახურებოდა 2 530 პროფესორ-მასწავლებელი, მათგან — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 42 აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი, 279 პროფესორი ან დოქტორი, 876 დოცენტი ან მეცნიერებათა კანდიდატი, 1375 სამეცნიერო ხარისხის არმქონე პედაგოგი. ასპირანტურის 123 სპეციალობაში მეცნიერულ წვრთნას გადიოდა 728 ახალგაზრდა. იმავე 2004 წლისათვის ბაკალავრების მომზადება 112 სპეციალობით, მაგისტრებისა კი 183 სპეციალობით ხდებოდა. უნივერსიტეტის წიაღში დაბრუნდა სამეცნიერო განათლება, ჩამოყალიბდა სამეცნიერო დაწესებულებების ასამბლეა. აქ შემავალი სასწავლო ბაზები გამოირჩეოდნენ მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით და მაღალი სამეცნიერო-ინტელექტუალური პოტენციალით. ნიშანდობლივია, რომ იურისტებისა და ექიმების მომზადება ერთ ეტაპად ხდებოდა (შესაბამისად 5 და 6 წლის მანძილზე).

აქტიურად წარიმართა სწავლების სისტემების დახვეწა და მეთოდების გაუმჯობესება. ამიტომ იყო, რომ ლისაბონში (11.IV.1997 წ.) ევროპული რეგიონის ქვეყნების უმეტესობამ, მათ შორის, საქართველომ, აშშ-მა და კანადამ ხელი მოაწერეს „ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციის ცნობის კონვენციას“. ცივილიზებული ქვეყნების მიერ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი უმაღლესი განათლებისათვის ღია ევროპული სივრცის შექმნის გზით. „სორბონის დეკლარაცია“ (25.V.1998 წ.) აცხადებს, რომ „ევროპა არის არამარტო საერთო ვალუტა და ეკონომიკა, არამედ, აგრეთვე, საერთო ცოდნა“. შემდგომში ბოლონიის დეკლარაციამ (19.VI.1999 წ.) მხარი დაუჭირა სორბონის დეკლარაციას ევროპული სივრცის კონსოლიდაციის მხრივ ენობრივ, კულტურულ, რელიგიურ, მძიმე სოციალურ და საგანმანათლებლო ტრადიციების განსხვავებათა გათვალისწინებით, რომლებიც არსებობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. მსოფლიო გლობალიზაციასა და განათლების საერთო სისტემის ფორმირებას მიეძღვნა ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ასამბლეა სალამანკაში (29.III.2001 წ.). ასე რომ, ამ კონვენციისა და დეკლარაციების საფუძველზე უმაღლესი განათლების სფეროში მნიშვნელოვანი ამოცანა დაისახა — ჩვენი კურსდამთავრებულები დაეუფლებოდნენ ისეთ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რომელიც მათ კონკურენტუნარიანობას შესძენდა მსოფლიო ინტელექტუალურ ბაზარზე.

უმაღლესი განათლების სფეროში რეორგანიზაციის პრინციპების განხორციელება ქვეყნებს შორის კულტურული და სამეცნიერო კონტაქტების არსებითი გაფართოების საფუძველია. უმაღლესი განათლების პრინციპების მაქსიმალურად დაახლოება სხვადასხვა ქვეყანაში წინაპირობაა იმისა, რომ მოხდეს სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, სამეცნიერო კადრების ფართო ურთიერთგაცვლა. ამის გარეშე წარმოუდგენელია მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადება, მეცნიერების განვითარების დონის განუხრელი ზრდა და ამ ფონზე ჩვენი ქვეყნის პერსპექტიული განვითარება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არასოდეს უღალატია ეროვნული პრინციპებისათვის და ბოლომდე შეინარჩუნა ღირსეული როლი ქვეყნის ინტელექტუალური განვითარებისა და ქართველი ერის მსოფლიო ცივილიზაციასთან დაახლოების გზაზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა და აქვს მსოფლიოში აღიარებული უნივერსიტეტების მეცნიერებთან, რითიც შენარჩუნებულია მეცნიერული სიახლეებისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, შესაბამისად განუწყვეტლივ ხდებოდა და ხდება სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მოდერნიზაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება და განახლება. უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაო-

ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში უცვლელი დარჩა უნივერსიტეტების, საზოგადოდ, და მეტადრე თბილისის უნივერსიტეტის მისია: განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების უზრუნველყოფა.

ალექსანდრე ჯანელიძე



ნიკო კეცხოველი

ილია ვეკუა

ვიქტორ კუპრაძე

„ალმა მატერი“ ასი წლისაა

ბას ყოველთვის ენიჭებოდა განმსაზღვრელი ფუნქცია და მნიშვნელობა. ახალი XXI საუკუნე მეცნიერებისა და განათლების პრიორიტეტის ნიშნით ხასიათდება.

ჩვენი მეცნიერების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი სამეცნიერო მუშაობის პარალელურად უდიდესი ძალისხმევით მონაწილეობდნენ სასწავლო პროცესში, რაც პრაქტიკულად განსაზღვრავს საუნივერსიტეტო განათლების მაღალი დონის შენარჩუნებას. ესაა ერთ-ერთი პარამეტრი, რომლითაც ჩვენი უნივერსიტეტი მოწინავეთა რიგებში იყო. წლების განმავლობაში რიგ საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობამ თავისი ნაყოფი გამოიღო – უნივერსიტეტმა მიიღო რეალური დახმარება სამეცნიერო-კვლევითი ხელსაწყო-აპარატურის სახით. ამის შედეგად შეიქმნა რამდენიმე მძლავრი ექსპერიმენტული ბაზა, რომლებშიც ტარდებოდა გამოკვლევები მსოფლიო სტანდარტების დონეზე. ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების მუშაობასა და ეკონომიკურ რეფორმაში ეკონომისტ პროფესორ-მასწავლებელთა აქტიურ ჩართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკური განათლებისა და სამეცნიერო მუშაობის საკოორდინაციო საბჭო. მას აქტიური საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკური პროფილის სამინისტროებთან, უწყებებთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ საბჭოს მუშაობაში უნივერსიტეტელებთან ერთად სისტემატურად მონაწილეობენ ფინანსთა, ეკონომიკის, ეროვნული ბანკის, სახელმწიფო კანცელარიის, კონტროლის პალატისა და სხვა უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე მასმედიის წარმომადგენლები.

მეტად საგულისხმო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გააგრძელა ინტენსიური მუშაობა და არამარტო შეინარჩუნა არამედ გადააჭარბა კიდეც 90-იანი წლების წინა პერიოდს. მაგალითად, 2002 წელს უნივერსიტეტმა დაბეჭდა 263 დასახელების ნაშრომი 2 104 ნაბეჭდი თაბახის ოდენობით, 300-ზე მეტი სასწავლო პროგრამა. მოხდა სახელმძღვანელოების დახვეწა და გამოცემა. წარმატებით განხორციელდა საუნივერსიტეტო პროგრამა – „სახელმძღვანელოები სტუდენტებისათვის“. მარტო 2003 წელს გამოიცა 152 დასახელების სასწავლო და სასწავლო-მეთოდური ხასიათის წიგნი და ბროშურა. დაიბეჭდა 75 მონოგრაფია, უამრავი საცნობარო ლიტერატურა, წელიწდეულები, სამეცნიერო შრომათა კრებულები. უნივერსიტეტის მიერ დასტამბულმა ბევრმა წიგნმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა, მათ შორის თავისი უნიკალური შინაარსით, დიზაინით და პოლიგრაფიული შესრულებით – „ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიურმა ლექსიკონმა“.

დიდი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დანაყოფები საბიბლიოთეკო დარგის ელიტას წარმოადგენდნენ არამარტო საქართველოში, მთელ სამხრეთ კავკასიაშიც. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მეთოდურ ცენტრად ითვლებოდა. შემუშავდა სტრატეგიული გეგმა, რომლის ხორცშესხმამაც ფართო ინტეგრაციის პირობები შექმნა, ძირეული გარდაქმნა დაკავშირებული იყო ინტერნეტთან. მსოფლიო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართვამ უზრუნველყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გაფართოება და მასობრივი სარგებლობა.

უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა კარდინალურმა ცვლილებებმა, ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენამ, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლამ და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობამ თვისობრივად შეცვალა თბილისის უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობების კონცეფცია და ახალი მიზნები და ამოცანები დასახა მის წინაშე. განისაზღვრა ახალი პრიორიტეტები, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა სტუდენტების გაცვლას, პროფესორ-მასწავლებლებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირებასა და ერთობლივ თემატიკაზე მუშაობას. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საერთაშორისო და რეგიონულ კონსორციუმებში გაერთიანებას და ამ კონსორციუმების ფარგლებში სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდოლოგიურ პრობლემატიკაზე ერთობლივ მუშაობას.გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე უნივერსიტეტი დროულად ჩაება ერთიანი საკრედიტო სისტემის შემუშავებასა და სააკრედიტაციო საქმიანობაში. სწორედ ამ საკითხებს განიხილავდა 2002 წლის გაზაფხულზე დანიაში და ამავე წლის ოქტომბერში შვეიცარიაში გამართული ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის კონგრესები. თბილისის უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა ამ ორგანიზაციებთან და მონაწილეობდა იმ ღონისძიებებში, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ევროპისა და, ზოგადად, მსოფლიო უნივერსიტეტების ეტაპობრივი ინტეგრაციის აუცილებლობა.

თბილისის უნივერსიტეტმა 1994 წლიდან, უმაღლესი განათლების კონცეფციის მიღებისთანავე, გადადგა პირველი ნაბიჯები რეფორმების გზაზე. საკმაოდ ბევრიც გაკეთდა, რაც დაადასტურა 2002 წლის შემოდგომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოსულმა ექსპერტების ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა აშშ-ის უმაღლესი განათლების საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, ქალბატონი მადელაინ გრინი. დელეგაციის წევრებს შორის იყვნენ ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემისა და შეფასების კრიტერიუმების შემმუშავებელი ე.წ „ბოლონიის პროცესის“ აღმასრულებელი თავმჯდომარე და ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის გენერალური მდივანი. ექსპერტთა ჯგუფის ამგვარი წარმომადგენლობითი დონე იყო დასტური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ავტორიტეტისა, ევროპული პარტნიორებისა და ორგანიზაციების სურვილი ეხილათ თბილისის უნივერსიტეტი ევროპულ ოჯახში. ექსპერტები შეხვდნენ უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს, პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, სტუდენტებს. მიღებული მასალებისა და შეხვედრების საფუძველზე მათ შეიმუშავეს რეკომენდაციების კომპლექსი, რომელიც მეტად სასარგებლო იყო საუნივერსიტეტო საქმიანობისათვის.

ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას ემსახურებოდა თბილისის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი ვენის უნივერსიტეტში, რომლის რექტორი ამავე დროს ევროპის უნივერსიტეტის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო (შემდეგ პრეზიდენტი გახდა). ევროპის ერთ-ერთი უძველესი და საინტერესო ტრადიციების მქონე ვენის უნივერსიტეტი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ მსოფლიოში და მან გამოხატა სურვილი, რომ თბილისის უნივერსიტეტი აქტიურად ჩაბმულიყო „ბოლონიის პროცესის“ ჩარჩოებში მიმდინარე ღონისძიებებში. სწორედ ამ უნივერსიტეტის შუამდგომლობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2002 წლის სექტემბერში ბერლინის კონგრესზე გაწევრიანდა „ბოლონიის პროცესში“.

უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა „ევრაზიის უნივერსიტეტების ასოციაცია“ (1994-წლიდან ასოციაციის შექმნიდან მოკიდებული იყო დამფუძნებელი-წევრი.) და „შავი ზღვის ქვეყნების უნივერსიტეტების ასოციაცია.“ „ევრაზიის უნივერსიტეტების ასოციაციის“ ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აღადგინა და თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანა ურთიერთობა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობისა და კიევის უნივერსიტეტებთან, ერევნისა და აზერბაიჯანის უნივერსიტეტებთან. 2000 წელს აღდგა დიდი ხნის წინათ შეწყვეტილი ურთიერთობა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტთან, სადაც აღმოსავლეთის ფაკულტეტზე გაიხსნა სპეციალობა „კავკასიათმცოდნეობა“ (სომხურ-ქართული განყოფილება). უნივერსიტეტმა დახმარება გაუწია სანკტ-პეტერბურგელ კოლეგებს, საამისოდ შემუშავდა პროგრამა, რომლის ფარგლებში სანკტპეტერბურგში მივლენილი იქნენ პროფესორ-მასწავლებლები ლექციების წასაკითხად. გაიგზავნა სპეციალური ლიტერატურა და სხვადასხვა წიგნები (სახელმძღვანელოები).

2002 წლის სექტემბერში ბაქოში გაიმართა „შავი ზღვის აუზის ქვეყნების უნივერსიტეტების ასოციაციის“ გენერალური ასამბლეის სხდომა, რომლის ძირითადი მიზანი იყო გლობალიზაციის პროცესში უნივერსიტეტების ერთიანი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება. ამ მხრივ, უპირველეს ამოცანად იქცა სასწავლო პროგრამების დაახლოება და შეჯერება, მომდევნო ეტაპზე ერთმანეთის დიპლომების ნოსტრიფიცირების მიზნით. აღსანიშნავია, რომ... პარტნიორული ურთიერთობის გეოგრაფია საგრძნობლად გაფართოვდა. ვაშინგტონის ამერიკული უნივერსიტეტების თაოსნობითა და დაფინანსებით შეიქმნა საერთაშორისო კონსორციუმი ამერიკის, თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების მონაწილეობით. განისაზღვრა პრიორიტეტი: კავკასიათმცოდნეობა, ერთობლივი სამეცნიერო პროექტები, თანამშრომლობა აკადემიურ სფეროში. საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი გაწევრიანდა ისტორიკოსთა მსოფლიო კომიტეტში (2002 წ.).

კანადის სენტ-მერის სახელობის უნივერსიტეტთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შექმნა ბიზნეს-ცენტრი „კავკასია“, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელის შეწყობის მიზნით. ჩატარდა ტრენინგები ბიზნესმენებისა და სტუდენტებისათვის. დაარსდა კონსორციუმი, რომელშიც თბილისის უნივერსიტეტთან ერთად გაერთიანდნენ ამერიკული უნივერსიტეტები: ველსლი კოლეჯი, ვილიამს კოლეჯი, ამჰერსტ კოლეჯი და მაუნთ ჰოლუოკი კოლეჯი. კონსორციუმის მთავარი მიზანი იყო სტუდენტების გაცვლა. ამერიკელი სტუდენტები გაეცნენ უნივერსიტეტს. პარალელურად პრაქტიკა გაიარეს სხვადასხვა ორგანიზაციაში, უწყებაში და ა.შ. ასევე ქართველმა სტუდენტებმა პრაქტიკა გაიარეს ზემოაღნიშნულ კოლეჯებში.

საგრძნობლად გაიზარდა ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტების ერთობლივი ძალისხმევით დაარსებული კავკასიის ბიზნეს-სკოლის ავტორიტეტი, რაც, უპირველესად, გამოიხატება სტუდენტების რაოდენობის ზრდით როგორც ბაკალავრიატში, ასევე სამაგისტრო პროგრამებში. წამყვანი პედაგოგები ჩაბმული არიან ბიზნესის სკოლის სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ პროცესში. 2002 წელს, ტრადიციულად, თბილისის უნივერსიტეტში იუნესკოს მხარდაჭერით გაიმართა კავკასიოლოგებისა და ქართველოლოგების მსოფლიო

იხ. 8 გვ.

„ალმა მატერი“ ასი წლისაა

(მეშვიდე გვერდიდან)

კონგრესი, რომელმაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მეცნიერების ამ დარგების მნიშვნელობა მსოფლიო მასშტაბით. კონგრესი ეძღვნებოდა აკადემიკოს მარი ბროსეს დაბადების 200 წლისთავს. ნიშანდობლივია, რომ იუნესკოს ხელშეწყობით უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა სამი ერთეული: ოკეანოლოგიის, საავტორო უფლებათა დაცვის, არასამთავრობო ორგანიზაციების შესწავლისა და მათთან მუშაობის კათედრები. 2002 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ტემპუსის პროექტების მიმართულებითაც გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. შეიქმნა კონსორციუმები ფრანგ, გერძენ, იტალიელ, ინგლისელ, ესპანელ, პორტუგალიელ კოლეგებთან ერთად და ამ კონსორციუმების ფარგლებში მომზადდა პროექტები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პარტნიორული ურთიერთობები ჰქონდა მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტთან. ამ მხრივ, ერთ-ერთი უძლიერესი პარტნიორი გახლავთ ზაარლანდის უნივერსიტეტი, სადაც ქართველი სტუდენტები გარკვეული დროით სწავლობდნენ, პროფესორ-მასწავლებლები პერიოდულად მუშაობდნენ, ახალგაზრდა მეცნიერები გადიოდნენ სტაჟირებას, ტრადიციულად იგზავნებოდნენ სტუდენტები ბამბერგის, იენის, ვენეციის, კაიროს, დამასკის, ბეირუთის, თეირანის, ანკარის უნივერსიტეტებში. XXI საუკუნის დასაწყისში თბილისის უნივერსიტეტში მოიმატა უცხოელ სტუდენტთა რიცხვმა, რომლებიც ეუფლებოდნენ ქართულ და რუსულ ენებს, საქართველოს ისტორიას და კულტურას. ინტერნეტის წყალობით სულ უფრო და უფრო მეტი განაცხადები შემოდის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. წარმატებით მუშაობდა ზაფხულის ქართველოლოგიური სკოლა. ტრადიციულად, უნივერსიტეტში მრავალი უცხოელი მეცნიერი კითხულობდა ლექციებს. საქართველო ოფიციალურად გახდა ფრანკოფონული საზოგადოების წევრი ქვეყანა, მასში უნივერსიტეტიც ჩაერთო. პოლონეთის საელჩოს დახმარებით აღდგა ურთიერთობა ლოძისა და ვარშავის უნივერსიტეტებთან. აქტიური ურთიერთობა იყო სხვა საელჩოებთანაც. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ირანის საელჩოს დახმარებით გაიხსნა ე.წ. „ირანის კაბინეტი“. რუმინეთის საელჩოს დახმარებით ხელი მოეწერა თანამშრომლობის ხელშეკრულებას თბილისისა და ბუქარესტის უნივერსიტეტებს შორის. ხელშეკრულების თანახმად, უნივერსიტეტები აღიარებენ ერთმანეთის დიპლომებს, ორივე უნივერსიტეტში დაიწყო, შესაბამისად, რუმინული და ქართული ენების სწავლება.

უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოში არსებულ საერთაშორისო ფონდებთან. მრავალმა სტუდენტმა თუ პროფესორ-მასწავლებელმა მოიპოვა ზემოჩამოთვლილი ორგანიზაციების გრანტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოში აშშ-ის საელჩოს საქმიანობა საგანმანათლებლო სფეროში. ფაქტობრივად, ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით არის განპირობებული „ამერიკის შესწავლის ცენტრის“ დაარსება (2001 წ.). ცენტრმა გარკვეული როლი შეასრულა „ამერიკანისტიკის“, როგორც სპეციალობის (იგი დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე იყო) განვითარების საქმეში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში გრძელდებოდა საპატიო დოქტორად მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერებისა და პოლიტიკოსების არჩევის ტრადიცია. ადრე არჩეული დიდი მეცნიერების **ნიკოდიმე კონდაკოვის** (რუსეთი), **ფელიქს დერელის** (საფრანგეთი), **ჰანს ფოგტის** (ნორვეგია), **ანანიაიშ ზაიანჩკოვსკის** (პოლონეთი), **დევიდ მარშალ ლანგის** (ინგლისი), **რენე ლაფონის** (საფრანგეთი), **ფრანც ბოლკის** (გერმანია) გვერდით 1991 წლიდან საუკუნის ბოლომდე საპატიო დოქტორებად არჩეულ იქნენ მეცნიერები: **გერტ ჰუმელი, იულიუს ასფალგი** (გერმანია), **ჰოვარდ არონსონი**(აშშ), **პეტრო კონონენკო** (უკრაინა), **დევიდ ადამსი, სვეტლანა ჩერვონნაია** (რუსეთი), **ქეთრინ ვივიანი** (ინგლისი) **კარლ-ჰორსტ შმიდტი** (გერმანია), **გივი მარგველაშვილი** (გერმანია) და სხვ. პოლიტიკოსები: **ჯორჯ შულცი** (აშშ), **ხუსამეთთინ ჯინდორუქი** (თურქეთი), **ბუტროს ბუტროს ღალი** (გაერო), **ალ აქბარ ჰაშემი რაფსაჯანი** (ირანი), **სულეიმან დემირელი** (თურქეთი), **ჰანს დიტრიხ გენშერი** (გერმანია), **ჯეიმს ბელინგტონი** (აშშ), **ზბიგნევ ბჟეზინსკი** (აშშ) და სხვ. (სულ 39 კაცი). ნიშანდობლივია, რომ უნივერსიტეტის საპატიო დოქტორები უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული საქართველოსთან, უნივერსიტეტთან და მრავალ სასიკეთო საქმის თაოსნებად გამოდიოდნენ (მეცნიერული დახმარება, ქველმოქმედება და სხვ.).

თამაზ გამყრელიძე

ოთარ ჯაფარიძე

სტუდენტთა სამეცნიერო მოღვაწეობა, მონაწილეობა სამოყვარულო მხატვრულ შემოქმედებაში, ფიზკულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, მათი სოციალური აქტივობა – ეს ის მუდმივი ჩამონათვალია, სასწავლო პროცესს გარეთ სტუდენტური საქმიანობის სახეებს რომ წარმოადგენს, თუმცა სხვადასხვა დროს იცვლება ამ საქმიანობათა ფორმა და შინაარსი, ნაწილდება ხოლმე აქცენტები. საუნივერსიტეტო განათლების ორსაფეხურიან სისტემაზე გადასვლა სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის ზრდით აღინიშნა. სისტემატურად ტარდებოდა და თვისობრივად მაღალ დონეზე მიმდინარეობდა სამეცნიერო კონფერენციები, უნივერსიტეტელები დიდი წარმატებით მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ფორუმებსა და დათვალიერებებში, საერთაშორისო ფონდების მიერ გრანტული წესით დაფინანსებულ სამეცნიერო პროგრამებში. მასობრივი გახდა საზღვარგარეთის უნივერსიტეტთა სტუდენტებთან ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო გაცვლითი პრაქტიკები, საუკეთესო სტუდენტთა გრძელვადიანი სასწავლო მივლინებები მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სალექციო და სააუდიტორიო სასწავლო პროცესის გარე აქტივობის ეს მიმართულება, სამეცნიერო საქმიანობისკენ ლტოლვა, ცხადია, უშუალო კავშირშია არჩეული სპეციალობით პროფესიულ ზრდასთან, ამიტომ, დიდი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით იგი ცენტრალიზებული წესით, სამეცნიერო ნაწილის პატრონაჟით წარიმართებოდა. ახალგაზრდულ ენთუზიაზმს სათავეში „თსუ სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო საზოგადოება“ ედგა, რომლის რამდენიმე წარმომადგენელი (სტუდენტი) დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი იყო, ფაკულტეტებზე კი სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მონაწილეობდა საფაკულტეტო სამეცნიერო საბჭოების მუშაობაში.

ბევრ უცხოელ ექსპერტს გამოუთქვამს კმაყოფილება ქართველი სტუდენტებით. ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციასთან არსებული განათლების ამერიკული საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა მადელაინ გრინმა სტუდენტებთან შეხვედრების შემდეგ განაცხადა: „განსაკუთრებით მოვიხიბლე უნივერსიტეტის სტუდენტებით, მათი განათლების მაღალი დონით, ხალასი აზროვნებით, აქტიურობით“. მსგავსი შეფასება უფრო ამაღლებულად გამოხატა სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსმა, უნეტარესმა ქრისტოდულოსმა, როდესაც კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრაცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სტუდენტებთან თანამშრომლობის გამოცდილებით უსაზღვროდ კმაყოფილმა, მისთვის სპეციალურად ბერძნულ ენაზე მოწყობილი შეხვედრის მონაწილეებს ვრცელი ქადაგებით მიმართა, შეხვედრის მონაწილე 300-ზე მეტი სტუდენტი დალოცა და უკლებლივ ყველა ოქროს ჯვრით დააჯილდოვა.

უნივერსიტეტის სტუდენტი-ახალგაზრდობის ძირითადი გაზეთი გახლდათ „თბილისის უნივერსიტეტი“, რომელშიც სისტემატურად აისახებოდა საუნივერსიტეტო ცხოვრება და სტუდენტური შემოქმედება. წარმატებით შეავსო საუნივერსიტეტო საგაზეთო სივრცე გაზეთმა „ქართული უნივერსიტეტი“, რომელიც უფრო მიმოხილვით, საგანმანათლებლო თუ მხატვრულ თემატიკას აშუქებდა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს აღმოსავლეთმცოდნეობის სტუდენტთა და ასპირანტთა აქტიური საგამომცემლო საქმიანობა – მათ მეტად საჭირო ნაბიჯი გადადგეს – დააფუძნეს ჟურნალი „აღმოსავლეთი“, რომელიც ფართო მკითხველს აცნობდა აღმოსავლეთთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან კულტურულ, პოლიტიკურ თუ საინფორმაციო მასალას. სამოყვარულო მხატვრული შემოქმედებით დაინტერესებულ სტუდენტთა საქმიანობა უნივერსიტეტში, ძირითადად, წარიმართებოდა უნივერსიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ბაზაზე. ქართველი ხალხის სიყვარული დაიმსახურა ვოკალურმა ანსამბლმა „უნივერსიტეტი“. წარმატებული იყო ფოლკლორული ანსამბლისა და ხალხური საკრავების ანსამბლის შემოქმედება, მაღალ დონეზე ფუნქციონირებდა კაპელა. წარმატებული გამოდგა პლასტიკის თეატრის დაფუძნება. ცენტრთან წარმატებით აგრძელებდა შემოქმედებით საქმიანობას თეატრი სტუდია „მერმისი“. სტუდენტი ახალგაზრდობის მასობრივი გატაცების საგანი იყო მან-სან-კან-ელთა კონკურსები. უნივერსიტეტის გუნდმა ფართო საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. უნივერსიტეტის მან-სან-კანელებმა საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვეს. წარმატებული იყო უნივერსიტეტის ხალხური ცეკვის ანსამბლის გამოსვლები. ყოველთვის გამორჩეული ზეიმურობით ხასიათდებოდა ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის საანგარიშო თუ საიუბილეო კონცერტები, სახვითი ხელოვნების და სამოდელო გამოფენები.

უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი იყო ფიზკულტურული მოძრაობაც. ტრადიციული იყო შიდასაუნივერსიტეტო შეჯიბრები ფეხბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, მინიფეხბურთში და სპორტის სხვა მასობრივ სახეობებში. სისტემატიურად ეწყობოდა მასობრივი ალპინიადები საქართველოს მთიან ზონებში. რაც შეეხება სპორტულ შეჯიბრებებს, უნივერსიტეტის სტუდენტობამ როგორც გუნდურ, ისე პირად სპორტულ შეჯიბრებაში მრავალ შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია. ამაზე ნათლად მეტყველებს კალათბურთელთა და ფეხბურთელთა გუნდების მონაწილეობა ქვეყნის უმაღლეს ლიგაში. სტუდენტური აქტივობის მხარდაჭერის, სხვადასხვა დამოუკიდებელი ჯგუფის ინიციატივისა და საინტერესო წინადადებების წახალისების მიზნით, და, მეორე მხრივ, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და სტუდენტური ჯგუფების ურთიერთშეთანხმებული თანამშრომლობის მიზნით შეიქმნა სტუდენტთა მომსახურებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება. უნივერსიტეტი მხარს უჭერდა ახალ, საინტერესო იდეებს, რომელსაც ახალგაზრდები წარმოადგენდნენ. არსებობდა რამდენიმე დამოუკიდებელ იურიდიულ პირად გაფორმებული სტუდენტური ორგანიზაცია. თითქმის ყველა ფაკულტეტზე არჩეული იყო და საქმიანობდნენ სტუდენტური საბჭოები, ან სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირები, რომლებიც წარმოადგენდნენ სტუდენტთა ინტერესებს ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოებში. არსებობდა სტუდენტური საუნივერსიტეტო პროფკავშირული ორგანიზაცია.

დამოუკიდებელ იურიდიულ პირს წარმოადგენდა „სტუდენტური საექსპედიციო მოძრაობა“, რომელიც საქართველოს რექტორთა საბჭოსა და საქართველოს თანადგომით მთელი ქვეყნის სტუდენტური საექსპედიციო მოძრაობის წარმმართველად იქცა.ამ მოძრაობას, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტობის ინიციატივით, ბევრი სხვა უმაღლესი სასწავლებლის ახალგაზრდობაც შეემატა. მათი პარტნიორული საქმიანობა სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობდა, თვითონ უწმინდესი და უნეტარესი რამდენიმეჯერ ესტუმრა სამხრეთ საქართველოში საქველმოქმედო მისიით წასულ სტუდენტებს. ჯავახეთში – ფოკასა და ბარალეთში ჩვენი სტუდენტების საქმიანობამ ადგილობრივი მოსახლეობის არა მხოლოდ კმაყოფილება გამოიწვია, მათი მრავალი საყოფაცხოვრებო პრობლემის გადაჭრის იმედიც მიეცათ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სტუდენტთა ინიციატივა კოდორის ხეობის მოსახლეობისთვის დახმარების გაწევის თაობაზე. ამ აქციაში მთელი საქართველო ჩაება და ძნელბედობაში მყოფ ხეობის მკვიდრთ რამდენიმეჯერ მიაწოდეს არა მხოლოდ ფიზიკური (საკვები, ტანსაცმელი), არამედ სულიერი საზრდოც (სასკოლო წიგნები და რვეულები).

წინამდებარე სტატია თბილისის უნივერსიტეტის („ალმა-მატერის“) ცხოვრებისა და საქმიანობის მხოლოდ ერთ პერიოდს XX საუკუნის 90-იან წლებსა და XXI საუკუნის დასაწყისს (2005 წლამდე) წარმოადგენს. შემდგომი პერიოდი თავისი მძიმე პრობლემებით ცალკე განხილვასა და შეფასებას იმსახურებს...

თბილისის უნივერსიტეტის მუდმივი ამოცანაა განვითარდეს სისტემურად. სწორედ მოდერნიზაციის პრობლემაა დღეს მთავარი. უნივერსიტეტი არსებობის მთელ მანძილზე ძმნიდა უმაღლესი სკოლის საინტერესო მოდელს. იგი მუდმივად იხვეწებოდა დროის შესაბამისად და გარდაძმნათა მოთხოვნილებისამებრ; სრულყოფდა სასწავლო პროცესს, სწავლების სისტემის რაციონალურ მიმართულებას ძმნიდა, საუნივერსიტეტო მეცნიერებას ანვითარებდა, ურთიერთობა ჰძონდა აკადემიურ მეცნიერებასთან, ზრუნავდა ტექნიკური სრულყოფისათვის, ყველაფერს აკეთებდა სტუდენტთა ცოდნის დაუფლებისა და შემოქმედებითი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შესაძმნელად.

მიგვაჩნია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისი პროფესორ-მასწავლებლობა და სტუდენტობა დღესაც ქვეყნის სამსახურშია. იგი მამულს უშურველად აძლევს თავის ძალასა და ენერგიას. ვიმედოვნებთ, რომ „ალმა-მატერი“ თავისი არსებობის 100 წლისთავზე კვლავაც ერთგულად ემსახურება დედასაქართველოს, ცდილობს ღირსეული შვილები – სპეციალისტები და მოქალაქეები აღუზარდოს ქვეყანას.

რ. მ.

...მეცნიერებასა და მეცნიერთა შესახებ

ჩვენი მათემატიკური სიძნელენი ღმერთს აინუნშიც არ მოსდის, ის ემპირიულად აჯამებს და ახდენს ინტეგრაციას.

* * *

მეცნიერულ აზროვნებაში აუცილებლად ურევია პოეზიის ელემენტი, ნამდვილი მეცნიერება და ჭეშმარიტი მუსიკა ხომ ერთგვაროვან სააზროვნო პროცესს ითხოვენ.

* * *

არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ კვანტურ მექანიკაში არის ჭეშმარიტების მნიშვნელოვანი ელემენტი... და მაინც არა ვფიქრობ, რომ კვანტური მექანიკა ამოსავალი წერტილია საფუძვლის ძიებისთვის, ზუსტად ისევე, როგორც არ შეიძლება, თერმოდინამიკიდან თუ გამოვდივართ, მექანიკის საფუძვლებთან მისვლა.

* * *

ისტორიამ დაადასტურა, რომ ყველა შესაძლებელ აგებულებათაგან აწინდელ დროში თურმე მხოლოდ ერთია ძირითადი, გაბატონებული და გავრცელებული. არცვინ იმ მეცნიერთაგან, ვინც სინამდვილეში უღრმავდება საგანს, არ დაიწყებს იმის უარყოფას, რომ თეორიული სისტემა ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება დაკვირვებათა სამყაროთი, თუმცაღა არავითარ ლოგიკურ გზას არ მივყავართ დაკვირვებათაგან ძირითად თეორიულ პრინციპებთან. ამაშია სწორედ ის არსი, რასაც ლაიბნიცი „წინასწარ დადგენილ ჰარმონიას“ უწოდებდა. როგორც გაირკვა, ამ გარემოებათა არასაკმარის აღრიცხვას უსაყვედურებენ ფიზიკოსები მუდმივად იმ მეცნიერთ, ვინც შემეცნების თეორიას სწავლობს.

* * *

მათემატიკოსებს დღეს რაღაც-რაღაცები შეუძლიათ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ის, რის მიღებაც ამ მომენტისთვის მოეთხოვებათ.

* * *

პრობლემა, რომელსაც დღეს ჩვენი ინტელიგენცია ჩვენს ქვეყანაში წააწყდა, ძალიან სერიოზულია. პოლიტიკოსები მეცნიერებზე ხალხში ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ და იმ მეცნიერთ, ვინც მათ ეურჩება და არ ეპუება, სამუშაოს აკარგვინებენ და შიმშილისთვის წირავენ. რა უნდა ქნან მეცნიერებმა? გულღიად თუ ვიტყვით, მხოლოდ ერთი გზა ვიცი — ყოველნი, ვისაც კომისიაში უხმობენ, არ უნდა ეთანამშრომლონ, ციხისთვის და შიმშილისთვის უნდა ემზადონ, ანუ სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, თავიანთი კეთილდღეობა მსხვერპლად უნდა გაიღონ მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ...

სირცხვილია ასეთი ინკვიზიციის წინაშე დაჩოქება, უკეთუ ადამიანები მზად იქნებიან ასეთი ნაბიჯისთვის, თავს კი გადაირჩენენ, მაგრამ ქვეყნის ინტელიგენცია მონობასა და შიმშილს დაიმსახურებს.

* * *

აუცილებელია, რომ ადამიანები ავითარებდნენ შემოქმედებით ნიჭსა და ინტუიციას. მეცნიერული შენობის აგება შეიძლება ქვისგან და ლოგიკური წესრიგით განლაგებულ საკუთარ მოძღვრებათაგან.

* * *

ზღვის ავადმყოფობას ჩემში იწვევენ ადამიანები და არა — ზღვა, როგორც ეს ძირითადად ხდება, მაგრამ, სამწუხაროდ, მეცნიერებას ჯერ ვერ უპოვია ამ სენის წამალი.



ასე ამბობდა ალბერტ აინშტაინი

რუსული ტექსტი ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

* * *

სუყოველი მეცნიერი უთუოდ დაჯილდოებულია უნივერსალური მიზეზობრიობის გრძნობით. მომავალი იმისთვის ერთი გრამით მეტსაც არ ნიშნავს, ვიდრე წარსული... იმისი რელიგიური გრძნობა ბუნების კანონთა ჰარმონიის წინაშე ბუნებრივი გაოცების ფორმას იღებს. ეს გრძნობა იმისი ცხოვრებისა და მუშაობის მთავარი, ძირითადი პრინციპია, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა ის ახერხებს ეგოისტურ მისწრაფებათა ცდუნებისგან თავის შეკავებას, მაგრამ ეს ზღვარგადასული საკითხია, რომელსაც სხვადასხვა საუკუნეებში რელიგიური გენიოსები ფლობდნენ.

* * *

ადამიანს სურს არა მარტო იმის ცოდნა, თუ როგორ არის ბუნება მოწყობილი, არამედ შეძლებისამებრ მიზნის მიღწევაც უნდა, ერთი შეხედვით ეს მიზანი იქნებ უტოპიურიც და კადნიერიც იყოს, რადგან ამ მიზანში ის აზრია, რატომ არის ბუნება ასეთი და არა სხვანაირი. სწორედ ამაში პოულობენ მეცნიერნი უმაღლეს კმაყოფილებას.

* * *

მეცნიერება საუცხოო და თავშესაქცევი საქმეა, უკეთუ იმას ცხოვრების სახსრად არ იყენებთ. სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად უნდა დაიხმაროთ ესა თუ ის საქმიანობა, რომელთა მიმართაც ადამიანი თავს გრძნობს იმაზე მეტად უნარიანად, ვიდრე სინამდვილეშია... და მხოლოდ, როცა არცვისადმი ანგარიშვალდებულნი არა ვართ, შეგვიძლია, მეცნიერულ შრომათაგან სიხარულის განცდა.

რა არის საერთო სამეცნიერო და მხატვრულ მოღვაწეობაში?

როს ქვეყნიერება აღარ ესარბიელება რისამე ხორცშესხმის ჩვენს იმედებსა და მოლოდინის რწმენას, როს ადვილად აღვიქვამთ სოფელ-ქვეყანას, აღფრთოვანებულნი ვართ და ვაკვირდებით, მაშინ ხელოვნებისა და მეცნიერების სამეფოში შევდივართ. უკეთუ აღქმული ლოგიკის ენაზე გამოითქმის, ეს უკვე სამეცნიერო მოღვაწეობაა. უკეთუ აღქმული ფორმებში გადმოიცემა, რომელ ფორმათა კავშირები მიუწვდომელია ჩვენი შეგნებული გონებისთვის, მაშინ ეს მხატვრული შემოქმედებაა. მხატვრულ და სამეცნიერო მოღვაწეობას ანათესავებენ სიყვარული და ერთგულება, რომელთაგან ყოველთვის იძლევა პირადი მიზნები და სურვილები.

* * *

უკეთუ ლაპარაკს დავიწყებთ იმაზე, სინამდვილეში რა შთააგონებს თანამედროვე მეცნიერულ კვლევებს, ვფიქრობ, მეცნიერების დარგში ყველაზე უფრო ნატიფი იდეები სათავეს იღებენ ღრმა რელიგიური გრძნობიდან. თუ არა ეს გრძნობა, ეს იდეები ესოდენ ნაყოფიერნი ვერ იქნებოდნენ. მეჩვენება, რომ რელიგიურობის ნაირსახეობა, რაც დღეს მეცნიერულ კვლევებში იგრძნობა, არის ერთადერთი შემოქმედებითი რელიგიური რუდუნი, რადგან საეჭვოა და არა მგონია, რომ ხელოვნებას ძალედვას რაიმე რელიგიური ინსტინქტების გამოხატვა.

ფარდობითობის თეორიაზე

ჩემი ახალი თეორიის სისწორეში ეგრევე დარწმუნდებით, როგორც კი შეისწავლით. ამიტომ ამიერიდან ერთ სიტყვასაც არ დავძრავ იმის დასაცავად.

* * *

ძალიან მალე დავიღლები, ილაჯი გამიწყდება ჩემი ფარდობითობის თეორიისგან. უნდა ვაღიარო, რომ თვით ასეთი გატაცებაც ქროლდება, თუ ძალიან ბევრ ყურადღებას დაუთმობ.

...ომის შესახებ

იმ ადამიანმა, ვინც მუსიკის ხმას აყოლილი მწყობრში კმაყოფილი მიაბიჯებს, ჩემი ზიზღი დაიმსახურა. ვგონებ, ეს ტვინით ის შეცდომით არის დაჯილდოებული, იმისთვის ზურგის ტვინიც საკმარისი იქნებოდა. ცივილიზაციის ეს სირცხვილი რაც შეიძლება მალე უნდა დამთავრდეს, მართალი გითხრათ, მძულს ბრძანებით ჩადენილი გმირობა, უაზრო სისასტიკე და ზიზღის მომგვრელი უაზრობა, რასაც პატრიოტიზმად ნათლავენ. არსებითად, ომი მუდამ ამაზრზენი და თავზარდამცემი სასაკლაოა, ბევრად უმჯობესია, რომ აგკუწონ, სულ ლუკმა-ლუკმად გაქციონ, ვიდრე ამ ბინძურ მოქმედებაში მონაწილეობდე.

* * *

შეუძლებელია ომის თავიდან აცილება, თუკი ომისთვის ემზადები.

* * *

უკეთუ მეცოდინებოდა, რომ გერმანელები ატომურ ბომბს არ შექმნიდნენ, მაშინ ბომბის გულისთვის თითს არ გავანძრევდი.

* * *

ატომურმა ენერგიამ ახალი მსოფლიო შექმნა, სადაც მთელი პოლიტიკური წინასწორობა სავსებით უაზრო გახდა. ატომურ საუკუნეში კაცობრიობამ აუცილებლად უარი უნდა თქვას ომზე მთელ მსოფლიოში. აშკარაა, რომ საფრთხეშია სიკვდილდამუქრებული სრულიად საზოგადოებრიობის სიცოცხლე.

* * *

ომები და ადამიანურობა, ორი სავსებით სხვადასხვა რამ არის. ომები შეიძლება რომ მოსპო როგორც ფაქტი.

* * *

დღეის მთავარი პრობლემაა, როგორ მივაღწიოთ ერების მშვიდობიან თანაარსებობასა და თანამშრომლობას? უკეთუ ერები საზეიმოდ განაცხადებენ თუნდაც მარტო თავიანთ ნებას ლოიალური თანამშრომლობის მიმართ — ეს ამბავი მნიშვნელოვნად შეამცირებს ომის საშიშროებას.

* * *

ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ომის საბაბით ჩადენილი მკვლელობა სულაც არ უცვლის სახეს მკვლელობას, მკვლელობა მკვლელობაა!..



უკეთუ მესამე მსოფლიო ომი ატომური ბომბებით იწარმოებს, მაშინ მეოთხე ომი კაცობრიობას ქვებითა და ჯოხებით მოუწევს.

...სხვადასხვაზე თქმული

ყოვლის უფრო შესანიშნავი რამ, რის განცდაც ჩვენ შეგვიძლია, საიდუმლოებაა. სწორედ ის არის ნამდვილი ხელოვნებისა და მეცნიერების წყარო. ვისთვისაც უცხოა ეს ემოციები და ვისაც არ შეუძლია მოწიწებით გაკვირვება და სულის განაბვა, ის მკვდრებისთვის მისათვლელია. ასეთი ადამიანის თვალები დახუჭულია... ცხოვრების საიდუმლოებაში შეჭრამ ძლიერად უბიძგა რელიგიის წარმოშობას და იმის შეცნობას, რომ მიუწვდომელი ნამდვილად არსებობს და ჭეშმარიტ რელიგიურობას ესაფუძვლება.

* * *

ცუდია, უკეთუ პური არსობისა დაკავშირებულია იმასთან, რაც მარტოოდენ ღვთის წყალობით გვეძლევა.

* * *

სარჩოს საცხოვრისთან ერთად ჩვენი ახლობელი ადამიანების შრომა გვკერძავს, და ამიტომ მოვალენი ვართ, რომ კეთილსინდისიერად ავუნაზღაუროთ იმ ადამიანებს ჩვენთვის გაწეული სამუშაო არა მარტო მუშაობით, რაც ჩვენი შინაგანი კმაყოფილებისთვის გვაქვს არჩეული, არამედ ისეთი რუდუნებით, სხვა ადამიანებისთვისაც რომ იქნება სასარგებლო. სხვაგვარად ადამიანი პარაზიტად იქცევა, რაოდენ დიდი სწრაფვაც არ უნდა ჰქონდეს.

* * *

სინამდვილე ილუზიაა, თუმცა ძალიან მტკიცე და მედეგი.

* * *

სიცრუე უცილობლად ნადგურყოფს, აქარწყლებს ნდობას, მცნება „არა იცრუო“ გვაგზავნის მომდევნო მოთხოვნასთან: „ადამიანის სიცოცხლეს დაცვა უნდა, ხოლო ტკივილი და დარდი მთლიანად უნდა გამორიცხო“.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)



როს გავარვარებულ ღუმელზე ზიხარ ერთი წუთი, გეჩვენება, რომ მტანჯველმა ერთმა საათმა გაიარა, ხოლო თუ ერთი საათი მუხლებზე მზეთუნახავი გიზის, გეჩვენება, რომ მხოლოდ ერთმა წუთმა გაიარა. ფარდობითობის თეორიაც სწორედ ეს არის.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №14-20

◎ თანამშრომლობა

„საქართველოს ბანკი“ სეოკ-ის გენერალური სპონსორი გახდა

30 იანვარს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინაში მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და სს „საქართველოს ბანკს“ შორის, რომლის თანახმად „საქართველოს ბანკი“ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური სპონსორი და მხარდამჭერია.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა და სს „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა კახა კიკნაველიძემ.

„ძალიან მნიშვნელოვანია,რომ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი გენერალურ სასპონსორო ხელშეკრულებას აფორმებს „საქართველოს ბანკთან“. ჩვენ ვანხორციელებთ მეტად საინტერესო პროექტებს ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარებისთვის, სადაც მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი გენერალური სპონსორის მხარდაჭერა. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება და ერთობლივი ძალებით ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას შევძლებთ“ — განაცხადა ლერი ხაბელოვმა. მან მადლობა გადაუხადა სს „საქართველოს ბანკის“ გენერალურ დირექტორს კახა კიკნაველიძეს მხარდაჭერისთვის.

თავის მხრივ, ბანკის გენერალურმა დირექტორმა კმაყოფილება გამოთქვა ოლიმპიურ კომიტეტთან დაწყებული თანამშრომლობის გამო: **„მოხარულები ვართ, რომ საქართველოს წამყვანი ბანკი ქვეყნისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი — საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური სპონსორი და მხარდამჭერი გახდა. აღნიშნული თანამშრომლობით, „საქართველოს ბანკი“ მხარს უჭერს სპორტის განვითარებას ქვეყანაში და ქართველი სპორტსმენების კიდევ უფრო მეტ წარმატებას მსოფლიო ასპარეზზე. ჩვენთვის პატივია, გვქონდეს უფლება მხარი დაუჭიროთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქართველი სპორტსმენების განვითარებასა და წარმატებაში, მათი წარმატება კი სწორედ ჩვენი ქვეყნის წარმატებაა მსოფლიო ასპარეზზე,“** — აღნიშნა კახა კიკნაველიძემ.

„საქართველოს ბანკის“ და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ურთიერთთანამშრომლობით არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდება, რომელიც ხელს შეუწყობს ქართველი სპორტსმენების ცნობადობის ამაღლებას, ოლიმპიური თამაშების შესახებ ბევრი საინტერესო ინფორმაციის მიწოდებას და გავრცელებას, რადგან თითოეული სპორტსმენისთვის, რომელიც წლების განმავლობაში ემზადება ოლიმპიური თამაშებისთვის, მნიშვნელოვანია სწორედ საკუთარი ქვეყნის მხარდაჭერა და მოსახლეობის ქომაგობა.

ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდნენ სეოკ-ის ხელმძღვანელები, ცალკეული სპორტული ფედერაციების პრეზიდენტები, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭიდაობა

ქართველთა ინდური „ოქრო-ვერცხლი“

სამი სახელოვანი ქართველი ფალავანი მონაწილეობდა ინდოეთის საკლუბო ჩემპიონატში, რომელსაც დელიმ უმასპინძლა. მსოფლიოს ჩემპიონები გენო პეტრიაშვილი და ზურაბ იაკობიშვილი „პენჯაბ როიალსის“ ღირსებას იცავდნენ, ხოლო ოლიმპიური ჩემპიონი ლადო ხინჩგაშვილი „არიანა ჰამერსის“ შემადგენლობაში გამოდიოდა. ფინალში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. პენჯაბელებმა 6:3 გაიმარჯვეს და ჩემპიონობა მოიპოვეს.

პირად შეხვედრებში სამივე ქართველმა ისახელა თავი. პროლიგის ტრიუმფატორი გახდა ქართველი



გენო პეტრიაშვილი

მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილი, რომელმაც ტურნირზე შვიდი გამარჯვება მოიპოვა. ფინალში მან 16:0 სძლია ინდოელ სუმიტს. ზურაბ იაკობიშვილმა მხოლოდ ფინალურ ორთაბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და ინდოელი კარან მორის დამარცხებით (4:0) თავის გუნდს ძვირფასი ქულა მოუტანა.

ჰამერსელმა ხინჩეგაშვილმა ტურნირზე ექვსივე შეხვედრაში წარმატებას მიაღწია — ფინალში თავისი ყოფილი გუნდის (შარშან მან ინდოეთის პროლიგა „პენჯაბის შემადგენლობაში მოიგო) წევრი ნავეერ კუმარი დაჯაბნა (4:0). საგულისხმოა, რონ ინდოეთის საკლუბო ჩემპიონატში მსოფლიოს მრავალმა სახელოვანმა ფალავანმა იასპარეზა.

გივი გაგუა

◎ ჭადრაკი

ნინო ბაციაშვილი

0,5 ქულით

გიბრალტარში მიმდინარე მოჭადრაკეთა დიდ საერთაშორისო ფესტივალში (საპრიზო ფონდია 200.000 გირვანქა სტერლინგი) წარმატებით ასპარეზობს ქართველი დიდოსტატი ნინო ბაციაშვილი, რომელიც რვა ტურის შემდეგ 5.5 ქულით ქალებში პირველ ადგილზეა. მართალია, ნინო მე-6 ტურში ხორვატ ივან სარიჩთან დამარცხდა, მაგრამ მომდევნო ორ ტურში 1.5 ქულა მოინაგრა — გერმანელ ალექსანდრ დონჩენკოს დაუზავდა და უნგრელ გაბორ პაპს აჯობა. ქართველ მოჭადრაკეს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან მსოფლიოსა და ევროპის ექს-ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მარია მუზიჩუკი (უკრაინა) და მისი და — მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ანა მუზიჩუკი, ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები — პია კრამლინგი (შვედეთი), კატერინა ლაგნო და ვალენტინა გუნინა (ორივე-რუსეთ), ასევე, ცზიუ ვენძიუნი, ტანძი ლეი (ორივე-ჩინეთი) და ელიზაბეტ პეტცი (გერმანია).

გიბრალტარში კიდევ სამი ქართველი დიდოსტატი თამაშობს: ბელა ხოტენაშვილმა და სალომე მელიამ რვა შესაძლებლობიდან 4.5-4.5 ქულას მოუყარეს თავი, ხოლო 2017 წლის ევროპის ჩემპიონსა და ბლიცში მსოფლიოს ჩემპიონ ნანა ძაგნიძეს 4 ქულა აქვს.

ტურნირზე შვიდი ტურის შემდეგ 6-6 ქულით ჰიკარუ ნაკამურა (აშშ) და დავიდ ჰოველი (ინგლისი) ლიდერობდნენ. რვა მოჭადრაკეს 5.5-5.5 ქულა ჰქონდა. მეწინავეთა ჯგუფის მე-8 ტურის ორთაბრძოლები ასე დასრულდა: ვან ჰაო (ჩინეთი) — ჰიკარუ ნაკამურა 0.5:0.5, რიჩარდ რაპორტი (უნგრეთი) — დავიდ ჰოველი 1:0, გრიგორი ოპარინი (რუსეთი) — ლევონ არონიანი (სომხეთი) 0.5:0.5, მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი) — იულის მოუსარდი (საფრანგეთი) 1:0, დანიილ დუბოვი (რუსეთი)-მიხაილ ანტიპოვი (რუსეთი) 1:0. ამდენად, 8 ტურის შემდეგ 6.5-6.5 ქულით ნაკამურა, ვაშიე-ლაგრავი, რაპორტი და დუბოვი დაწინაურდნენ.

ფესტივალის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა.

ლაშა დიდია

◎ სამთო თხილამურები

თასის გათამაშება დიდველით დაიწყო

ბაკურიანის, სვანეთის, აჭარისა და გუდაურის 55 წარმომადგენელი მონაწილეობდა საქართველოს სამთო მოთხილამურეთა 2018 წლის თასის გათამაშების პირველ ეტაპზე. ისინი ბაკურიანში დიდველის ტრასაზე სლალომსა და გიგანტურ სლალომში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. საპრიზო ადგილები სამ ასაკში გათამაშდა.

ქვარცხლბეკი

სლალომი. გოგონები. 2004-2005 წლებში დაბადებულნი. 1. მარი ჩოგაძე (აჭარა, 1.59,98), 2. მარიამ ნავერიანი (სვანეთი, 2.02,53), 3. ნატა მეხეშიძე (ხულო, 2.20,09). **2002-2003 წ.წ.** 1. ნინო კურტანიძე (ბაკურიანი, 1:31.09), 2. მარიამ პაქსაძე (აჭარა, 1:45.87), 3. ანა მაზმიშვილი (ბაკურიანი, 1:49.25), **2001 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 1:23.94). **ვაჟები. 2004-2005 წ.წ.** 1. ლუკა ბუჩუკური (გუდაური, 1.35,00), 2. მიხეილ ჩართოლანი (სვანეთი, 1.36,64), 3. ოთარ წულეისკირი (ბაკურიანი, 1.41,79). **2002-2003 წ.წ.** 1. ალეკო ჯაფარიძე (სვანეთი, 1.28,12), 2. ირაკლი არღვლიანი (სვანეთი, 1.28,13), 3. ნოდარ კოზანაშვილი (ბაკურიანი, 1.31,80). **2001წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. ბესო ჯაფარიძე (სვანეთი, 1.14,17), 2. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.16,13), 3. ანზორ ჯაფარიძე (სვანეთი, 1.17,17). **გიგანტური სლალომი.გოგონები. 2004-2005 წ.წ.** 1. მარი ჩოგაძე (აჭარა, 52,73), 2. მარიამ ნავერიანი (სვანეთი, 56.56), 3. ნატა მეხეშიძე (ხულო, 1.02,94); **2002-2003 წ.წ.** 1. ნინო კურტანიძე (ბაკურიანი, 1.28,72), 2. ანა მაზმიშვილი (ბაკურიანი, 1.38,76), 3. მარიამ გაგაძე (გუდაური, 1.39,68). **2001 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. კატო გოცირიძე (გუდაური, 1.23,19), 2. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 1.25,45). **ვაჟები. 2004-2005 წ.წ.** 1. მიხეილ ჩართოლანი (სვანეთი, 44,60), 2. ლუკა ბუჩუკური (გუდაური, 44,67), 3. კოტიკო გოცირიძე (გუდაური, 46,16).

2002-2003 წ.წ. 1. ნოდარ კოზანაშვილი (ბაკურიანი, 1.27,89), 2. ირაკლი არღვლიანი (სვანეთი, 1.28,02), 3. ლუკა ჯაფარიძე (სვანეთი, 1.29,89). **2001 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. ბესო ჯაფარიძე (სვანეთი, 1.18,80), 2. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.19,68), 3. სანდრო ჟორჟოლიანი (სვანეთი, 1.21,28).

საქართველოს თასის მეორე ეტაპი მესტიაში 2-3 მარტს გაიმართება.

ლექსო ცინცაძე

◎ კრივი

რეპეტიცია ხარკოვში

წლეულს 22-წლამდელ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი 24 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით რუმინეთში გაიმართება. შარშან მსგავს შეჯიბრებაში თბილისელი ესკერხან მადიევი (69 კგ) კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ხოლო ლაშა გურულმა (64) მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. საერთოდაც, 2017 წელს ქართველმა მოკრივეებმა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებსა და პირველობებში ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ახლა ისინი მონდომებით ემზადებიან ახალი სეზონისთვის — საევროპედ ბორჯომსა და თბილისში გაიარეს ორ-ორკვირიანი საწვრთნელი შეკრებები, მერე კი ხარკოვს მიაშურეს და საერთაშორისო გუნდურ შეჯიბრებაში იასპარეზეს. აქ პირველობისთვის წრიული სისტემით უკრაინის, საქართველოს, ბელარუსისა და მაროკოს წარმომადგენლები იბრძოდნენ. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას 8 წონით კატეგორიაში 10 სპორტსმენი იცავდა: 18-წლამდელებში ევროპის ჩემპიონი სახილ ალახვერდოვი (49 კგ, თბილისი), უფროსებში საქართველოს ჩემპიონი ონისე სოსელია (52, ქუთაისი), ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონი არტიუშ გომციანი (56, ახალქალაქი), 18-წლამდელებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი ოთარ ნავერიანი (60, მარნეული), 22-წლამდელებში ევროპის ვიც-ჩემპიონი ლაშა გურული (64, რუსთავი), 22-წლამდელებში ევროპის ჩემპიონი ესკერხან მადიევი (69, თბილისი), ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონი და ახალგაზრდებში ბრინჯაოს პრიზიორი გიორგი ხარაბაძე (69, ქუთაისი), 18-წლამდელებში 2015 წლის ევროპის ჩემპიონი ნიკოლოზ ბეგაძე (91, რუსთავი), არტიომ იორდანიანი (91, ახალქალაქი) და 18-წლამდელებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გიორგი ჭიღლაძე (+91, ჭიათურა), მწვრთნელები — ლაშა დუნდუა და ბეჟან ჭიჭინავა.

დაძაბული პაექრობების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა. ჩვენებს მასპინძლებმა გაუსწრეს, მესამე-მეოთხე ადგილები კი, შესაბამისად, ბელარუსებმა და მაროკოელებმა გაინაწილეს. ჩვენებურთაგან 3-3 გამარჯვება მოიპოვეს სახილ ალახვერდოვმა, ნიკოლოზ ბეგაძემ და ლაშა გურულმა. ესკერხან მადიევის ანგარიშზეა ორი გამარჯვება და ერთი ფრე. ორ მოგებას დასჯერდა გიორგი ხარაბაძე, არტიუშ გომციანმა ერთი ორთაბრძოლა თავის სასარგებლოდ დაამთავრა და ერთშიც დაუზავდა მეტოქეს. თითო გამარჯვებითა და მარცხით დაასრულა ტურნირი გიორგი ჭიღლაძემ, ხოლო არტიომ იორდანიანმა, ოთარ ნავერიანმა და ონისე სოსელიამ სტარტზევე მიკროტრავმები მიიღეს და პაექრობის განგრძობა ვეღარ შეძლეს.

საქართველოს 22-წლამდელთა ნაკრების წევრები ახლა ბაკურიანსა და თბილისში მოემზადებიან.

თამაზ პატარიძე

თბილისში ანდაზებითა და ნახატებით გაფორმებული კორპუსები გაჩნდა

დასაწყისში მინდა, ადრე მოსმენილი ამბავი გითხრათ: ერთმა პოტენციურმა მამამთილმა, თურმე, საპატარძლო იმის გამო დაიწუნა, რომ მისი სახლის შესასვლელში კედელზე დიდი ასოებით იყო მიწერილი უცენზურო სიტყვა – ასეთი სახლიდან გამოსული გოგო ჩემს ოჯახში ვერ შემოვაო.

ეს ამბავი, თქვენ წარმოიდგინეთ, ქართულ პროვინციაში კი არა, უცხოეთში მოხდა. ხოლო ის, რაზეც ახლა გვსურს გიამბოთ, ჩვენ დროში და თბილისში ხდება.

დამეთანხმებით, თბილისური ეზოები და იქ არსებული გარემო მასში მცხოვრები ადამიანების ხასიათსა და მენტალიტეტს აყალიბებდა. იქნებ, სწორედ ამის გამო ერთმა სამშენებლო კომპანიამ თბილისში გადაწყვიტა, რომ მის მიერ აშენებული სახლის მცხოვრებლების განწყობაზე განსაკუთრებულად იმოქმედოს. საამისოდ მან მშენებლობის პროცესში დაასაქმა პროფესიონალი მხატვრების ჯგუფი, რომლებსაც კორპუსისა და სადარბაზოს კედლები მოახატვინა. სურვილი გაგვიჩნდა ამ თემაზე მხატვარ მაკა ჯებირაშვილს გავსაუბრებოდით.

– ქალბატონო მაკა, საიდან გაჩნდა სადარბაზოების მოხატვის იდეა?

სადარბაზოების მოხატვა იმ სამშენებლო კომპანიის დაკვეთაა, რომელიც თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე ახალ კორპუსებს აშენებს. აქ ძირითადად ჩემი ესკიზების ფრაგმენტებია გამოყენებული. ინსპირაცია ძველი პენსილვანიის აკვარელის ილუსტრაციები გახდა. მერე მოხდა იმ ძველი მასალის გადახედვა და ახალი ორნამენტების შერწყმა. ზოგი პერსონაჟი იმ ილუსტრაციებიდან პირდაპირაა აღებული, მაგრამ აქ ისინი ქართულ გარემოშია გადაყვანილი. როცა სოციალურ ქსელებში ავტვირთეთ მოხატული კედლის ფოტოები, ისინი უცებ გავრცელდა და პოპულარული გახდა.

– ქართული ანდაზებით სადარბაზოების გაფორმების ტრადიცია ჩვენში აქამდე არ არსებობდა...

– საქმე ისაა, როცა უცხოელი სტუმრები მყავდნენ, მათ ქართული ანდაზები აინტერესებდათ. მეც ვიხსენებდი, ვთარგმნიდი და ამაზე ყველანი ვერთობოდით. მერე ჩავთვალე, რომ ამ ანდაზების ილუსტრირება ძალიან საინტერესო იქნებოდა. ძველი ოსტატები გადავათვალიერე და მათ ხელოვნებაში საოცარი სილამაზე აღმოვაჩინე. ამასობაში იდეაც გაჩნდა, რომ ქართული ანდაზები მახვილგონივრული ფორმით და კლასიკური სტილით გაგვეფორმებინა. მერე ქართული ანდაზების საიტიც მოვიძიე.

– გაიხსენეთ ანდაზები, რომლებიც უკვე გამოიყენეთ მუშაობის დროს...

– ძიების დროს ძალიან სასაცილო და სახალისო ანდაზებს გადავეყარეთ, მაგალითად: „ყვავს შევარდნად ზრდიდნენ და ის მაინც „ყვას“ იძახდაო“, „გიჟი ქორწილში შევარდა, ჩემ სახლს აქა სჯობიაო“, ან კიდევ, „ბუს თავისი ბარტყი ფარშევანგი ეგონაო“ და სხვები...

– კორპუსების ნუმერაციაც მხატვრულად გააფორმეთ?

– თავიდან სადარბაზოებსა და კორპუსებზე ნომრები ჩვეულებრივად უნდა დაგვეწერა, მაგრამ მერე გვთხოვეს, რომ ისინიც მხატვრულად გაგვეფორმებინა. ნიმუშებისთვის ძველი გაფორმება მოვიძიეთ. ამ საქმიანობით მხატვრების ჯგუფი ვართ დაკავებული. მინდა, გაგაცნოთ ისინი, რომლებიც ამ პროექტზე ჩემთან ერთად მუშაობენ: **ანა იაკობაშვილი, ნუცა ჩუბინიძე, გიგა იაკობაშვილი და ზურაბ მიქელაძე.** ჩვენ ყველანი სხვადასხვა გზით და ხერხებით ვცდილობთ, რომ საცხოვრებელი გარემო გავალამაზოთ. ამ ეტაპზე ეს სახლები უკვე იყიდება. იმედი მაქვს, რომ ამგვარად გაფორმებულ სახლში მცხოვრებ ადამიანებს ყოველთვის ხალისიანი განწყობა ექნებათ, სხვაგვარად წარმოუდგენელია...

ცოტნე მჭედლური

სანთელი

საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, საფეიქრო მრეწველობის თვალსაჩინო მოღვაწე და მეცნიერი, ქალბატონი

ნინელი რატიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

იაპონურ კაფეში ყავას რობოტები მოამზადებენ

მალე იაპონიაში კაფე გაიხსნება, სადაც ყავას მხოლოდ რობოტები მოამზადებენ. კაფეში ერთი ფინჯანი ყავის ღირებულება 3 დოლარი იქნება და თითო **რობოტს ერთდროულად 5 ფინჯანი ყავის ადუღება შეეძლება.**

თუმცა იმისათვის, რომ ყავა მიიღოთ, ჯერ სპეციალური აპარატით მისი საფასური უნდა გადაიხადოთ.

◎ შეუცნობელი

ცრურწმენათა სათავეები

რატომაა კაცს შავი კატა გზაზე თუ გადაურბენს, ეს უსიამოვნებებს უქადის, გატეხილი სარკე ავადმყოფობის შეყრის საფრთხეს გვამცნობს, დაბნეული მარილი კი ჩხუბსა და დავიდარაბას მოასწავებს? ისტორიკოსები ამტკიცებენ რომ ყველა ამ „ცუდი ნიშნის“ წარმოშობას ერთობ საგულისხმო ისტორია აქვს.

შავი კატა

ამ ულამაზეს შინაურ ცხოველს მაგიურ თვისებებს ოდითგანვე მიაწერდნენ. ძველ ეგვიპტეში კატები წმინდა ცხოველებად იყვნენ მიჩნეული, მათ

სიყვარულის ქალღმერთ ბასტის ერთგულ თანმხლებებად თვლიდნენ, რომელსაც კატისთავა ქალად გამოსახავდნენ. კატის მკვლელობა სიკვდილით ისჯებოდა.

დიდი პატივით კატებს რომაელებიც ეპყრობოდნენ — ისინი სახლებში თაგვებს იჭერდნენ, თუმცა კი საკმაოდ იშვიათი ცხოველები იყვნენ, ამიტომაც დიდად ფასობდნენ. მოგვიანებით ისინი იმდენად გამრავლდნენ, რომ მთელ ევროპაში გავრცელდნენ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში კატებს სახელი გაუტყდათ: მათ კუდიანების შემწეებად თვლიდნენ და პატრონებთან ერთად კოცონზე წვავდნენ. სწორედ იმ დროს გაჩნდა ჩვენს დრომდე მოღწეული ცრურწმენა, თითქოს შავი კატა უსიამოვნებების მაუწყებელია. მაინც რა გახდა ასეთი დამოკიდებულების საფუძველი? და რა დააშავეს მაინცდამაინც შავი ფერის ცხოველებმა? ამას ძალზე მარტივი ახსნა აქვს. საქმე ისაა, რომ შუასაუკუნოვან ევროპაში ხშირი იყო შავი ჭირის ეპიდემიები, ეს დაავადება კი მღრღნელებს გადააქვთ. იმ დროის ყველა ქალაქში უთვალავი ვირთაგვა ბინადრობდა. მათ კი კატები ერთობ ერჩოდნენ. ჰოდა, ვირთაგვებთან ერთად შავი ჭირის გავრცელების ბრალდება კატებსაც „წაუყენეს“... ამიტომაც, სნეულებისგან თავის დასაცავად, ხალხი კატებსაც ერიდებოდა, მაგრამ როგორ გინდა ამის გაკეთება, თუკი კატა შავია, ღამე კი ქუჩაში უკუნითი სიბნელეა? ავბედითი შავი კატის მითს სწორედ ეს გარემოება უდევს საფუძვლად.

გატეხილი სარკე

პირველი სარკის გაჩენის თარიღი სადღაც წარსულის წიაღშია ჩაკარგული. ერთი კი დანამდვილებითაა ცნობილი, რომ საკუთარი გამოსახულების ხილვის წადილი ადამიანს ოდითგანვე ჰქონდა. სარკეები ძველ ეგვიპტეშიც იყო, შემერების სამეფოშიც, ინდოეთშიც, ჩინეთშიც, პერუშიც და მექსიკაშიც. მათ ობსიდიანიდან, გაპრიალებული ბრინჯაოსა და ოქრო-ვერცხლისგან აკეთებდნენ, ხშირად მაგიურ თვისებებსაც მიაწერდნენ. მაგალითად, ჩინეთში სარკეებს სახლებში შესასვლელის წინ დგამდნენ, რათა მოშურნეთა ავი ზრახვები და „ცუდი“ სახლების — ციხეების, საავადმყოფოებისა და სამორინეების — ნეგატიური ენერგია აერეკლათ. ხალხს სჯეროდა, რომ სარკის ზედაპირს მომავლის, ან წარსულის სურათების ჩვენება შეეძლო.

შუა საუკუნეების ევროპაში სარკეებს დიდი სიფრთხილით უდგებოდნენ: მიჩნეული იყო, რომ კაცობრიობამ სარკე ეშმასგან მიიღო ძღვნად. სარკის მქონე ქალებს კი კუდიანებად აცხადებდნენ და კოცონზე წვავდნენ. სწორედ იმ დროს გაჩნდა ცრურწმენა, რომ სარკის გატეხვა პატრონს სნეულებას, ანდა, სულაც სიკვდილს უქადის. ამ მტკიცების აბსურდულობის მიუხედავად, მაშინ გატეხილ სარკეს მართლაც დიდი უსიამოვნებები მოჰყვებოდა ხოლმე. საქმე ისაა, რომ იმ დროს სარკეები ვერცხლისწყლის გამოყენებით კეთდებოდა, ამიტომ სარკის ზედაპირის ოდნავი დაზიანების შედეგადაც კი ვერცლისწყლის ანაორთქლი ჰაერში ხვდებოდა და გარშემო მყოფთ წამლავდა.

დაბნეული მარილი

მარილის დაბნევა მოახლოებული ჩხუბის ნიშანია, რომელიც რუსეთში, ალექსი მიხეილის ძის მეფობის დროს წარმოიშვა. იმ დროს რუსეთში მარილის მოპოვება დიდად განვითარებული არ იყო, ამიტომაც ის შორიდან ჩამოჰქონდათ. უაღრესად საჭირო და ძვირფას საქონელს დიდი ფასი ედო, მისი შემოტანა გვარიანად იბეგრებოდა. ამდენად, დიდი ფასისა და საჭიროების გამო, რაც უწინარესად მისი კონსერვატორული თვისებებით იყო განპირობებული, მისი ტყუილად დაკარგვა ნათესავების მძაფრ უკმაყოფილებას იწვევდა. სწორედ აქედან მომდინარეობს დაბნეული მარილის მწიკვის მარცხენა მხარეზე გადაგდება, რაც სამარილის გადაბრუნებას მოჰყვებოდა. ამით ოჯახის უფროსი ჯალაბს მიანიშნებდა, რომ დამნაშავე ნაპატიებია, ხოლო ოჯახური სიმშვიდე ძვირფასია და მარილზე მეტად ფასობს.

მოამზადა
ოთარ ტურაგელიძემ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ ან ოჯველდღე იყიდეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

გასაცინებელი ა(მ)ბები

ჩვეულება

ჭაბუკმა პეტუკომ ხელი სთხოვა ქალიშვილ მიცუკოს.

— უარი რომ გითხრა ცოლობაზე, რას იზამ? — ჰკითხა მიცუკომ.

— რას ვიზამ და ხარაკირს მივმართავ, — მიუგო პეტუკომ.

— შენ მაგას ვერ იზამ!

— აუცილებლად ვიზამ, ასეთი შემთხვევების დროს ყოველთვის ასე ვიქცევი.

უპირატესობა

შვილმა ოჯახში მშობლებს განუცხადა, გადავწყვიტე, ჩემი სკოლელი მეგობარი გოგო ცოლად შევირთოო.

— არ გინდა, ღარიბი ოჯახის შვილია! — უთხრა მამამ.

— მაგას სახლის მოვლა არ შეუძლია! — დასძინა დედამ.

— იხვივით დადის! — შესძახა დამ.

— ნამეტანი ჭორფლიანია! — განაცხადა ძმამ.

— ღმერთმა უწყის, ვინ არის, თანაც თმას იღებავს! — დაიბუზღუნა ბებიამ.

— არც მაინცდამაინც საქციელი უვარგა! — წაიბურტყუნა პაპამ.

სასიძოდ თავგამოდებული ჭაბუკი არც ერთს სიტყვას არ უტრიზავებს:

— შესაძლოა, ყველანი მართალსაც ამბობთ, — ამოიოხრა მან. — მაგრამ ერთი დიდი უპირატესობა აქვს, არც დედა ჰყავს, არც მამა, არც და-ძმა და არც პაპა-ბებია.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4969; ევრო - 3.1016;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5189;
100 რუბლი - 4.4647; თურქული ლირა - 0.6611;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4700;
1000 სომხური დრამი - 5.1965.

ამინდი 1 თებერვლისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -3, დღე +10
მთიანი რაიონები - ღამე -6, დღე +4
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +1, დღე +10
მთიანი რაიონები - ღამე -3, დღე +4
თბილისი: ღამე 0, დღე +7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge